საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 13 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალ[illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 259

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 259

ღრმათ დამწუხრებულნი: მამა თედორე დიმიტრის ძე, ძმები: სტეფანე და პორფილე, დები: ლიზა და მარუსია, რძალი ვერა ელიაძენი და სიძე ნიკიფორე სიხარულიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დღეს, 13 ნოემბერს (ახ. სტ.) სოფ. უჩხოზში, სტეფანწმინდის ეკლესიაში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო წირვა და პანაშვიდი, მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

**ელენე თედორეს ასული ელიაძის**

ხ ოვნის აღსანიშნავათ. (6. 1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფი დედა ალათი ქაიხოსროს ასული მგელაძისა, ძმები: თედორე, კოლია და მიშა მგელაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-ამხანაგებს, რომ შაბათს 15 ნოემბერს (ახ. სტ.) გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

**ნადასი მგელაძის**

სულის მოსახსენიებლად ს. ქვიახი წმ გიორგის ეკლესიაში. (2982 1—1)

დეკანოზი სევერიანე ოტიას ძე, ნინა პავლეს ასული ლორთქიფანიძისა შვილებით, სტუდენტი შალვა პლატონის ძე გოგორიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 ამა თვეს დილით ორშაბათს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ შვილის და მეუღლის

**ელენე სევერიანეს ასული ლორთქიფანიძე-გოგორიშვილის**

სულის მოსახსენებლათ. წირვა 10 საათ. პანაშვიდი 12 საათიდან. (2976 1—1)

გულდათუთქული დედა მაგდან ნიკოლოზის ასული წერეთლისა, შვილები: ალექსანდრე, ოლიმპიადა, შალიკო და ამბაკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ს. საგურამოში ავაზაკებთან შეტაკების როს გმირულათ დაიღუპა მათთვის ძვირფასი და დაუ იწყარი პირველი ცხენოსან პოლკის ოფიცერი, როტმისტრი.

**თ ა თ ა რ ხ ა ნ ი**

პანაშვიდი ყოველდღე საღ. 5 ს. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გამოსვენება ხუთშაბათს, 13 ნოემბერს წირვის შემდეგ ქაშვეთის ეკლესიიდან ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. (2977 1—1)

გაუბედურებული მამა ქრისტეფორე და მეუღლე ლიუდმილა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 ნოემბერს დ. ჩოხატაურში (გურია) ბოლშევიკების გამოსვლების დროს, ქვეყნის მოღალატეებმა მოკლეს მათი ერთად ერთი ნუგეში, ხიდისთავის თემის თავმჯდომარე

**იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძე**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2987 2—1)

თავზარდაცე ული მიხაკო და ნატალია შვილებით: სანდრო, ფილიპე, სიმონ, ასლან, ბესარიონ, საშუკია და რძლები: ვარდო და ნატო შონიები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი სიძის

**იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძის**

ტრაღიკულად დაღუპვას დ. ჩოხატაურში 9 ნოემბერს ბოლშევიკების გამოსვლის დროს. (2987 2—1)

9 ნოემბერს დ. ჩოხატაურში (გურია) ბოლშევიკების გამოსვლების დროს სახალხო საქმეს მსხვერპლად შეეწირა ხიდისთავის თემის თავმჯდომარის ამხანაგი

**იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძე**

რასაც მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თემის გამგეობა. (2985 2—1)

ხიდისთავის (გურია) რაიონული ს. დ. კოლექტივი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს თავისუფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლის ამხ.

**იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძის**

ტრაღიკულად დაღუპვას დ. ჩოხატაურში კვირას, 9 ნოემბერს ბოლშევიკების გამოსვლების დროს. (2986 2—1)

საჯამიასერის თემის ხმოსანთა საბჭო აცნობებს თანამგრძნობლებს, რომ მათ დაკარგეს უძვირფასესი ამხანაგი ხმოსანი საბჭოსი

**ტარიელ მელიტონის ძე უენია**

მოკლული ბოლშევიკების მხეცური გამოსვლის დროს ჩოხატაურში 10 ნოემბერს. დაკრძალვა 13 ნოემბერს, ჩომეთის ეკლესიის გალავანში. (ფ. 1—1)

საჯამიასერის რაიონის გვარდიელები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს უძვირფასესი ამხანაგის

**ტარიელ მელიტონის ძე უენიას**

დაკარგვას, რომელიც მოკლულ იქნა დ. ჩოხატაურში ბოლშევიკებთან შეტაკების დროს. დასაფლავება ხუთშაბათს 13 ნოემბერს, ჩომეთის ეკლესიის გალავანში. (ფ. 1—1)

გულდათუთქული მეუღლე ელენე, შვილი კარლო, მამა გიგო, ძმა ალიოშა და დაი და სიძე ოლღა და პილატე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ ამ თვის 10 ვერაგულათ იქმნა მოკლული დ. ჩოხატაურში ბოლშევიკების გამოსვლის დროს მათთვის ძვირფასი

**სევერიანე თოდუა**

დაკრძალვა 13 ს დღეთი, ხუთშაბათს 4 საათზე, ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანში ს. ქვემო-ხეთში ნანეიშვილისეულის საზოგადოებაში. (2991—1—1)

საჯამიასერის რაიონის კოლექტივი ს. ს. დ. მ. პ. მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი ამხანაგის

**ტარიელ მელიტონის ძე უენიას**

უდროვოდ დაკარგვის გამო, რომელიც ვერაგულათ მოკლულ იქნა ჩოხატაურში ბოლშევიკებთან შეტაკების დროს დასაფლავება 13 ნოემბერს სოფელ ჩომეთში. (ფ.—1—1)

თავზარდაცემული და გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე მარიამი გიორგის ასული, სიდედრი ბარბარე ბეჟანის ასული, ცოლის ძმები: ალექსანდრე (საშა), კონსტანტინე და ცოლის და ნინა ყორანაშვილი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თავის ანთებით მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, პირველის მეუღლე და მეორეთა სიძე

**იორდანე ეგნატეს ძე ჩალაძე**

გამოსვენება 16 ს ნოემბერს დილის 10 საათზე, დუშეთის ქუჩა ანანურის შესახვევი სახ. № 6. წაასვენებენ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2990—1—1)

გულდათუთქული ნათლიმამა ვიკტორ კიქინაძე მეუღლე ლიზათი და ბიძაშვილი ალექსი ჩალაძე და მისი მეუღლე ევა აუწყებენ ნაცნობთ, მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით სამშაბათს დილის 9 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

**იორდანე ეგნატეს ძე ჩალაძე**

გამოსვენება 16 ს ნოემბერს, დუშეთის ქუჩა, ანანურის შესახვევი სახლი № 6. წაასვენებენ ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ ნინოს სასაფლაოზე. (2990—1—1)

ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი ამ მოკლე ხანში გამოსცემს ყოველთვიურ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალს

**„ცისარტყელას"**

ჟურნალს ექნება შემდეგი განყოფილებანი: 1. პოეზია, 2. ბელეტრისტიკა, 3. დრამა, 4. კრიტიკა და 5. ბიბლიოგრაფია.

უკვე შესდგა სარედაქციო კოლეგია შემდეგი პირებისაგან: 1. ივ. გომართელი, 2. ს. აბაშელი, 3. პ. ირეთელი, 4. არ. რუხაძე და 5. ობოლი მუშა.

რედაქცია შეუდგა მუშაობას და სთხოვს მწერლებს დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ მასალები შემდეგი მისამართით: ელისაბედის ქუჩა № 200, რკინის გზელთა ცენტრალურ კულტურულ განმანათლებელ კომისიას ჟურნალ „ცისარტყელასთვის". (უფ. 3—2)

**ნამდვილი ჩინური ჩაი**

ახალი მოსავლისა. საუკეთესო გემოსი, ფერისა მიღებულია ჩინეთიდან და იყიდება პარტიობით და ცალობით. წონით $^1/_4$, $^1/_2$ და 1 გირვანქიანი პარკებში

**ს. მულგიკიანის**

ფირმით.

მისამართი: სომხის ბაზარი, „გასტინის დვორი" მანთაშევისა, ზემო სართული №№ 119—120, დილის 9 ს.—2 ს.

**ფასი 160 მანეთი გირვანქა.**

მუდამ ვღებულობთ ახალ-ახალ ჩინურ ჩაის, ვსთხოვთ მყიდველთ თვით დარწმუნდნენ ჩაის მაღალ ღირსებაში. (1979—1—1)

15 აგვისტოს ოჩემჩირეში მოვაჭრე

**ისიდორე ზამთარაძე**

წავიდა ბათუმში სავაჭრო საქმეებისთვის. შემდეგ არ დაბრუნებულა. არ ვიცით სად იმყოფება. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ სად წავიდა და შემთხვევით ნახა სადმე, ვთხოვთ აცნობოს ოჩემჩირეში ქალაქის გამგეობას. (2988—5—1)

## ანარქიასთან ბრძოლა

უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა და გახშირდა ანარქიული თავდასხმანი. შეთქმულთა ჯგუფები შეიკრებიან რომელიმე ქალაქსა ან დაბაში და მცხოვრებლების სურვილის წინააღმდეგ თავის მთავრობას აცხადებენ.

ამ კონსპირატორთ იმედი ასულდგმულებთ, რომ ხალხი, რომელსაც მუდამ აქვს მრავალი მიზეზი უკმაყოფილებისა, მათს დემაგოგურ ანკესზე წამოეგება, მათ ავანტიურას იცნობს და დემოკრატიულ მთავრობის ნაცვლათ—საბჭოთა ანარქიას შეიწყნარებს.

მაგრამ მასსა უკვე საკმაოთ გამოიზარდა ამ უკანასკნელ წლების რევოლიუციურ ბრძოლის ქარტეხილში. მან შეითვისა და შეისისხლხორცა ბევრი რამ ახალი ურთიერთობისაგან და მის ასეთ იოლათ დათმობას ვერ მიაღებინებ. მართალია, დემოკრატიული წყობილება ჯერ სავსებით არ არის განხორციელებული ყოველ დარგში, მაგრამ საამისო ალმშენებლობა არსებობს, გაუმჯობესება სისტემატიურათ და თვალსაჩინოთ შემოდის მართველობის და მეურნეობის ყოველ დარგში, ხალხი ამჩნევს ამას და ამიტომ უკმაყოფილებას თვით წყობილების წინააღმდეგ კი არა აქვს ადგილი, არამედ ამ წყობილების ხელის შემშლელების წინააღმდეგ.

ხოლო ამ გარემოებას ხელს უწყობს და ასაზრდოებს სწორეთ ის ანარქიული გამოსვლები და არეულობანი, რომელთაც ბოლშევიკ დენიკინელები აწარმოებენ.

აქედან ცხადია, ხალხი ამ ამრევლებს უნდობლობით უნდა უყურებდეს და სდევნიდეს როგორც ხელის შემშლელებს.

აი ამ ნიადაგზე ცრუვდება ბოლშევიკ-დენიკინელების იმედი ხალხის თანაგრძნობაზე, ისინი მხოლოდ სიძულვილს იმსახურებენ. ამით აიხსნება ისიც, რომ უკანასკნელ მათ შეთქმულებას ხალხი გულცივათ შეხვდა და მათი ბატონობის თავიდან მოსაშორებლათ აქტიურათ გამოვიდა. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყების მომწყობთა ბოროტი განზრახვანი უფრო შორს მიდიან, რასაც ხალხი შეიძლება კარგათ ვერ ხედავდეს. მათ მიზნათ აქვთ ხალხი ჩააბან უსწორო და გამანადგურებელ ომში დენიკინთან. ბოლშევიკებს გონიათ, რომ ამით დენიკინს მოსპობენ. ხოლო დენიკინელებს იმედი აქვთ, რომ ბოლშევიკური ანარქია თვით დენიკინს მისცემს საშუალებას საქართველოს დემოკრატია გაანადგუროს.

ამ რიგათ ორივე საქართველოს ხალხს, მის დემოკრატიას, და ამ დემოკრატიის მეთაურს—მუშათა კლასს ევლინებიან მოსისხლე მტრათ. შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, უფრო შეგნებულათ, ეს უკანასკნელი გამოსვლები—სამოქალაქო ომის დასაწყისია. იგი პირველი იერიშია საქართველოს მშრომელთა კლასების წინააღმდეგ, იგი პირდაპირი გამოწვევაა შინაური სისხლისღვრისათვის.

ეს გარემოება გვაიძულებს ამ მოვლენებს ისე მოვეპყრათ, როგორც კონტრ-რევოლიუციის ნიშანდობლივ მოვლენას, რომელიც არსებითათ ყოველივე კანონის ნორმების გარეშე სდგას.

რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია, ამბობს მარქსი—ერთს და იმავე ნიადაგზე დგას. იგი კანონს უარყოფს და პირდაპირი, უშუამავლო ბრძოლით სცდილობს სოციალურ დავის გადაჭრას.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთ პირობებში კანონიერების ნორმალურ აპარატის ამუშავება ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს. კანონი არსებობს ნორმალურ პირობებისათვის, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება—ერთგვარ კალაპოტში ჩაყენებულია. მაგრამ სრულიად გამოუსადეგარია იქ, სადაც ტყვია და ზარბაზანი სწყვეტს საკითხს...

სამოქალაქო ომი შეიარაღებული ჭიდილია, ამ ჭიდილში ერთი უნდა დაეცეს. ამიტომ ჩვენ არ გვიკვირს, რომ დამფ. კრებამ მეამბოხეთა მიმართ განსაკუთრებული, რევოლიუციური ხასიათის და შემადგენლობის სასამართლო შექმნა და სამოქალაქო ომის გამომწვევთა განსჯა ამ რევოლიუციურ სამართალს და რევოლიუციურ ინსტიქტს მიანდო.

ეს სავსებით მიზანშეწონილია, ხალხის გულისწყრომა და სწორი ალღო ტყუილათ არ მოითხოვს სწრაფ და დაუყოვნებლივ გამოძიებას და გასამართლებას. იგი გრძნობს, რომ აქ საზოგადოება, ხალხი, დემოკრატია იცავს თავის არსებობას, თავის რევოლიუციურ გზას, თავის ბრძოლით შექმნილ მდგომარეობას. ხალხი მიმხვდარია, რომ იარაღით ამხედრება დემოკრატიულათ არჩეულ მთავრობის წინააღმდეგ—ნიშნავს აჯანყებას ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ, ნიშნავს უმცირესობის და ხშირათ მცირე ჯგუფის უპასუხისმგებლო ბატონობის განმტკიცებას. და იგი ამას ეწინააღმდეგება რევოლიუციური საშუალებებით. დამფუძნებელმა კრებამ, რომელმაც დააკანონა სწრაფი სამხედრო რევოლიუციური სასამართლოები, ამით მხოლოდ დააკანონა ხალხის ალღო, ხალხის სურვილი, ხალხის მისწრაფება.

და ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს სასამართლოები ფართე თანაგრძნობას მოიპოვებენ და დასახულ რევოლიუციურ მიზანს სავსებით მიაღწევენ.

## პრესის მაგიერ

„საქართველო" არ სჯერდება იმას, რასაც თვითონ თხზავს სოციალისტების წინააღმდეგ. ახლა ის ცდილობს დააჯეროს მკითხველი, რომ სოციალისტებს არც ევროპა ენდობა.

ამ მიზნის მისაღწევათ ის, ჩვენში დარჩეს და, ხშირათ ყალბობს კიდეც.

ერთი ასეთი სიყალბე მან გუშინდელ ნომერში ჩაიდინა. მან, ისე როგორც სხვა ქართულმა გაზეთებმა, მიიღო საინფორმაციო ცნობა, სადაც მოყვანილია იტალიის გაზეთების აზრი არგენტინის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. „საქართველომ" ეს ცნობა თავის გემოზე შეაკეთა და იტალიის გაზეთი ბ ონ გვაზავას ენით აალაპარაკა. გაზეთი „მესაჟე დე რო" სწერდა: არგენტის მთავრობამ დეკრეტით იცნო ფაქტიურათ არა მარტო დამოუკიდებლობა, არამედ აღიარა სახელმწიფოებრივი თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოსი. ეს მოწმობს იმას, რომ ქართველი დემოკრატები და **სოციალისტები ღირსნი არიან ნდობისა** (ხაზი ჩვენია).

ეს ცნობა ყველა გაზეთებმა ასე დაბეჭდეს. „საქართველომ" კი „და სოციალისტები" სრულიად გამოტოვა. მას არ უნდა, რომ იტალიის ზომიერმა გაზეთმა ჩვენი სოციალისტები ნდობის ღირსათ აღიაროს. ეს ხომ გაზ. „საქართველოს" ყურის აწევა არის და რომ ეს დაემალა თავის მკითხველისათვის, აიღო და სულ ამოშალა და ასე მოციალისტების საწინააღმდეგო თავის უმგვანო კამპანიაში იტალიის გაზეთი გვერდში ამოიყენა., მარა ტყუილათ გონია „საქართველოს", რომ ამგვარი ულირსი ოინით ფონს გავა და სხვისი აზრების ყალბათ გადმოცემით თავის ფუქსავატ და უსუსურ პოზიციას შეირჩენს.

ქართულ პრესას რომ კარგი მამასახლისი ყავდეს, ასეთი კომბინაციისათვის გაზეთ „საქართველოს" ისე დაითხოვდენ პრესის ოჯახიდან, როგორც შულერს, რომელიც ცდილობს გაქეთებული კარტით თამაშს.

„საქართველოს" ძალიან უნდა, რომ ევროპის ზომიერი წრეები ისე უნდობლობით ეპყრობოდენ ჩვენს სოციალისტებს, როგორც თვითონ ეპყრობა, მარა ეტყობა არც აქ წყალობს ბედი და იმედი გვაქვს არა ერთ და ორ გაკვეთილს მიიღებს ის უცხოელი ზომიერი პრესისაგანაც კი და რამდენიც არ უნდა ითაღლითოს მათი აზრების დამახინჯებით, თავის დაკარგულ ნდობას მაინც ვერ აღადგენს სოციალისტების ხარჯზე...

## ჰიუგო ჰააზე

დღეს ბერლინში მარხავენ ჩვენს ცნობილ ამხანაგს, დამოუკიდებელ სოციალისტების ერთ მეთაურთაგანს, ჰიუგო ჰააზეს.

როდესაც დაიწყო მსოფლიო ომი, ჰააზე გერმანიის რეიხსტაგის (პარლამენტის) სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე იყო. პირადად ის წინააღმდეგი იყო ხმა მიეცა ბიუჯეტისთვის და პოლიტიკურად დაედასტურებია იმპერიალისტური ომი. მაგრამ ის დაემორჩილა სოციალ-დემოკრატ დეპუტატების უმრავლესობის გადაწყვეტილებას და წაიკითხა პარლამენტის კრებაზედ ფრაქციის დეკლარაცია. შემდეგ ჰააზე ხშირად იგონებდა ამ დღეს და მეტად დაღონებული იყო თავისი საქციელით. დეკლარაციაში მოხსენებული იყო, რომ სოც. დემ. პარტია „მხარს უჭერს მთავრობას თავდაცვით ომში განსაკუთრებით ცარიზმის წინააღმდეგ". ვინც გაცნობილია მეორე ინტერნაციონალის პოზიციას ომის საკითხში, მისთვის უდავოა, რომ თავდაცვის პრინციპი მის მიერ სავსებით აღიარებული იყო. ჰააზე მხოლოდ ფიქრობდა, რომ ცენტრალური სახელმწიფოები დამცემნი არიან და ბიუჯეტის მიცემაზედ მათ უარი უნდა ეთქვასო.

ომის პროცესში გერმანიამ დაიპყრო ბელგია, საფრანგეთის დიდი ნაწილი, რუსეთის გუბერნიები. ჰააზეს აზრით გერმანიის მთავრობას წინადადება უნდა მიეცა მეომარ სახელმწიფოებისთვის უანექსიო ზავის შესაკვრელად. ვილჰელმის მთავრობა, რასაკვირველია, ასეთი ზავის წინააღმდეგი იყო. მას სურდა ზოგიერთი დაპყრობილი ადგილების შენარჩუნება. სოციალ დემოკრატიულ პარტიის უმრავლესობა ძველებურად მხარს უჭერდა მთავრობას. უმცირესობა მას გამოეყო ჰააზეს და კაუცკის მეთაურობით: მისი სამოქმედო პროგრამა გახდა ზავისთვის ბრძოლა.

როდესაც გერმანიაში დაიწყო სამხედრო და პოლიტიკური კრიზისი, დამოუკიდებლებმა მედგრად მოითხოვეს იმპერატორის გადადგომა და მოუწოდეს მუშებს რევოლიუციონურ გამოსვლებისკენ. ზოგიერთ ქალაქებში მუშები გამოვიდენ. მოხდა შეტაკება ჯარს და მუშებს შორის. ბოლოს პარტიის უმრავლესობამაც (შეიდემანის მეთაურობით) დაუჭირა მხარი ამ გამოსვლებს და იმპერატორი გადადგა. შესდგა სოციალისტური მთავრობა 6 წევრიდან: 3 მეუმრავლესე სოციალისტებიდან, 3 დამოუკიდებლები. ჰააზე ამ ეგრედ წოდებულ ზავის მთავრობის წევრი გახდა. ჩვენის აზრით ეს მთავრობა სამუდამოდ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას, რომ მოკავშირეთა გამარჯვებულ სახელმწიფოების დემოკრატიას მისთვის მხარი დაეჭირა, გერმანიის ბლოკადა მოხსნილიყო და ცოტათ თუ ბევრათ ხელსაყრელი ზავის პირობები წარედგინა მისთვის. მოკავშირეთა სისასტიკემ აიძულა პარტიის უმრავლესობა ან ისევ ომი გაეგრძო, ან მემარჯვენე ელემენტებთან ერთად პასუხისმგებლობით მიეღო ზავის პირობები. დაქანცულმა გერმანიამ მეორე გზა აირჩია. დამოუკიდებელი სოციალისტები, ჰააზეს მეთაურობით, ოპოზიციაში გადადიან.

ჰააზე სტოვებს თავის პარტიას მეტად გაძლიერებულს. ორმოცდა ათი ათასიდან წევრებთა რიცხვი შვიდას ათასამდის ავიდა. მისი პრესა გაძლიერდა. პირველად ხელში ქონდათ ერთი გაზეთი, დღეს ორმოცდა ათი გაზეთი იცავს პარტიის პრინციპებს: დამოუკიდებლები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპა სოციალისტურ შენების პროცესში შედის და ამზადებენ გერმანიის

# დღეს

ბალშევიკების ცნობით ლიონოზოვის მთავრობის და გენ. იუდენიჩის შორის უთანხმოებაა.

ბალშევიკების ცნობით წითელმა ჯარმა ეკატერინენსლავი დაიჭირა.

გერმანიაში რევოლიუციის დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ნოტის ტექსტი გერმანიის პროტესტის საპასუხოთ—ბელგიის მიერ ეიპენის ტერიტორიის ოკუპაციის გამო.

გერმანულ პრესის ცნობით შეერთებულ შტატებში უკიდურეს მემარცხენე პარტიის აგიტატორთა დაპატიმრება გრძელდება. აღმოაჩინეს მრავალი საagitაციო ფურცლები და იარაღი.

იტალიის მთავრობის ჯარსა და დანუნციოს ჯარს შორის ბრძოლა დაიწყო.

---

მუშებს გონებრივად და ზნეობრივათ ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობის მისაღებად. რუსეთის კომუნისტების სახელმწიფოებრივ სისტემას და ალმაშენებლობითი მეთოდს ისინი უარყოფით უყურებენ.

ჰააზე არ უყო თეორეტიკოსი. ის ორგანიზატორი და პრაქტიკული პოლიტიკის მატარებელი იყო. გიორგი პლეხანოვის სიტყვით, ის დიდ ზნეობრივ ძალას წარმოადგენდა. შეიძლება მართალი იყოს ის ხმები, რომ მისი დაჭრა ვიღაც გიჟის მიერ, როგორც ჟან ჟორესის მოკვლა, კონტრ-რევოლიუციონერების მოწყობილი იყოს. შესცდენ მკვლელები. გერმანიის დამოუკიდებელთა პარტია, როგორც მთელი გერმანიის მუშები, მდიდარნი არიან გამოცდილი და გაწვრთნილი სოციალისტ მოღვაწეებით. მათიწინსვლას და გამარჯვებას ასეთი ვერაგული თავდასხმა, რასაკვირველია, ვერ შეაჩერებს.

ბ. თეკლათელი.

## მონოპოლია, კოოპერაცია და მშრომელი

სახელმწიფო მონოპოლია და კოოპერაცია არ ეწინააღმდეგება ერთი-მეორეს, ვინაიდან მონოპოლია ცდილობს ხალხის ნაწარმოები თითონ ჩაიბაროს, ჩამოაშოროს ხალხს ჩარჩები, რომელიც მას გარშემო ასევია. სახელმწიფო კი ხალხის ნაწარმოებს დაუბრუნებს იმავე ხალხს სხვადასხვა ნივთების სახით. კოოპერაციაც მიისწრაფის, რათა განთავისუფლოს ხალხი მრავალფეროვანი ჩარჩების და სპეკულიანტებისაგან და მთელი მოგება მისი შრომისა მასვე დაუბრუნოს. სახელმწიფოს, კოოპერაციის ინტერესები ამ საქმეში ერთი და იგივეა. საჭიროა მხოლოდ ამ ორი ინსტიტუტის შეთანხმებით მუშაობა. ეს აზრი ამას წინეთ ჩემ მიერ გამოთქმული მისაღები ყოფილა კოოპერაციისათვის. კოოპერატორები მიპასუხებენ, რომ ისინი არ არიან სახელმწიფო მონოპოლიის მოწინააღმდეგენი ეხლანდელ პირობებში. მზათ არიან ფართე დახმარება გაუწიონ სახელმწიფო მონოპოლიის განხორციელებაში. მართალია, გამოითქვა ის აზრიც, რომ მონოპოლია სპობს თავისუფალ კონკურენციას და კოოპერაციის განვითარებას სალი ნიადაგი ექნება, თუ ის ისეთ პირობებში იქნება ჩაყენებული, როგორც კერძო ვაჭრობა და მრეწველობა. ე. ი. მას არ ექნება არავითარი უპირატესობა. ამ საგანზედ კამათი ეხლა ზედმეტია. ეკონომიური წეს-წყობილება ისე შეიცვალა მთელ ევროპაში, რომ ის შინაარსი და წარმოდგენა, რომელიც ჩვენ გვაქვს შეთვისებული ეკონომიური კონკურენციის შესახებ—სულ სხვა ბუნების და თვისების არის ამ ჟამათ.

ჩემი კორესპონდენტები გაიზიარებენ იმ აზრს, რომ სახელმწიფო მონოპოლია სრულიად მისაღები არის კოოპერაციისათვის მხოლოდ ისინი მიუთითებენ ერთ მხარეზედ სახელმწიფო მონოპოლიისა. ისინი ამბობენ: თუ სახელმწიფო გამოაცხადებს მონოპოლიას, იგი იძულებული არი ჩამოართვას მწარმოებელს და განსაკუთრებულ წვრილ მწარმოებელს მისი ნაწარმოები. და ამ ჩამორთმევის დროს, კორესპონდენტის აზრით, არ უნდა მოხდეს უსამართლობა და ფასები, რომელიც მიეცემა მწარმოებელს, უნდა შეეფერებოდეს მის მიერ გაწეულ შრომას და დახარჯულ კაპიტალს. წინააღმდეგ შემთხვევაში მწარმოებელი მომავალში ეცდება თავი გაანებოს იმ დარგს, რომელიც მისი აზრით არა სასარგებლოა.

ამ აზრს სრულებით ვეთანხმები. თუ მწარმოებელი მიიღებს მდარე ფასებს, მაშინ მას არ ექნება სურვილი, ხალისი წარმოებისა. მაშასადამე, უნდა იქნეს შემუშავებული ისეთი ფასები, რომელიც დააკმაყოფილებს მშრომელს და არ მოუკლავს ხალისს წარმოების გაგრძელებისას. კოოპერაციას, როგორც საზოგადოებრივ დაწესებულებას, შეუძლია ამ შემთხვევაში დიდი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოს. არავითარი სახელმწიფოს მიერ დაწყობილი საქმე არ უნდა იქნეს აგებული უსამართლობაზედ, ამაზედ დავა ზედ მეტია. მხოლოდ ამ საკითხში არის ერთი დიდი და რთული მიზეზი, რომელიც გამოკვლეული უნდა იქნეს. რასაკვირველია, მონოპოლიის განხორციელების დროს სახელმწიფო ჩაიბარებს ნაწარმოებს სამართლიან ფასებში, ისეთ ფასებში, რომელიც მისაღები არის მწარმოებლისათვის. მწარმოებელმა უნდა არჩიოს სახელმწიფო და მას უნდა გადასცეს თავისი ნაწარმოები და არა კერძო პირს, რომელიც ყოველთვის ზედმეტს მისცემს.

ჩვენში მწარმოებელი—წვრილი მწარმოებელია. მას არა აქვს საშუალება თითონ გავიდეს ბაზარზედ. წვრილი მწარმოებლისა და ბაზარს შორის არის გაჩერებული ჩარჩი. და მწარმოებლის ნაწარმოები მის ხელში გადადის და რასაკვირველია, ის თავისი მდგომარეობით კარგათ სარგებლობს, ეს კოოპერატორებმა ძლიერ კარგად იციან. მონოპოლია არის საშიში აი ამ ჩარჩებისათვის. მონოპოლია სპობს მათ და, რა თქმა უნდა, ისინი არაფერს დაიშურებენ, რომ ძირი გამოუთხარონ მონოპოლიას, გააბათილონ იგი ხალხში. ამისათვის ისინი მზათ არიან ასწიონ ფასები, საზარალო ფასებიც მისცეს მწარმოებელს, რომ მოიშოროს თავიდან მტერი. კოოპერაციამ კარგათ იცის ეს ოინები ჩარჩებ სპეკულიანტებისა. მაშასადამე, როდესაც ჩემი კორესპონდენტი მწერს, რომ აი კერძო პირი მზად არის მისცეს მეტი, გაცილებით მეტი, ვიდრე სახელმწიფომ, ამ საგანს ჩაფიქრება უნდა. ნუ თუ ისეთი ხალხის მზრუნველი არის ჩარჩი, სპეკულიანტი, რომ თავის ჯიბიდან ზედმეტი ამოიღოს, შეელიოს ზედ მეტს. თუ ის მეტს იძლევა არა იმიტომ, რომ ხალხის ბედნიერება სურს მას, არამედ იმიტომ, რომ მას სურდა აამხედროს ხალხი მონოპოლიის წინააღმდეგ. კოოპერატორები მოიგონებენ თავისი ცხოვრებიდან ბევრ ასეთ შემთხვევებს.

ჩვენი ვალდებულება არის, ვალდებულება კოოპერაციის არის, როგორც დაწესებულების, რომელიც ხალხში მუშაობს, დიდი ანგარიში გაუწიოს იმ წინააღმდეგობას, რომელიც გადაელობება მონოპოლიებს კერძო ინტერესების მოტრფიალესაგან. საჭიროა დიდი პროპაგანდა, აგიტაცია, რომ სახელმწიფო მონოპოლია არ არის მოწინააღმდეგე ხალხის ინტერესებისა; მონოპოლია იცავს ხალხის ინტერესებს, ცდილობს მოაშოროს ჩარჩი, სპეკულიანტები და გაუწიოს მას უანგარო სამსახური. აი ეს დიდი აზრი მონოპოლიისა უნდა გაიზიაროს კოოპერაციამ, ის იზიარებს ამას, მხოლოდ ეს აზრი გაამაგროს ხალხში. რაც შეეხება ჩამორთმეული ნაწარმოების ფასებს, რასაკვირველია, ის ყოველთვის სამართლიანათ იქნება შეფასებული, ვინაიდან მონოპოლია ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გასამტკიცებლათ არის დაწყებული, ხალხის დოვლათს მიითვისებს. მონოპოლიას, კოოპერაციას უწევს წინააღმდეგობას კერძო ინტერესის წარმომადგენელი, კერძო კაპიტალის, რომელიც ცდილობს დაარღვიოს მონოპოლია, გაუტეხოს გული ხალხს, იმით რომ მიიზიდავს დიდი ფასებით. რა მოგება დარჩება ხალხს? რაც უფრო ძვირათ გასაღდება ნედლი მასალა, იმდენათ ძვირი იქნება მრეწველობის ნაწარმოები. თუ ჩარჩი, სპეკულიანტი მეტს იძლევა, ამას იმავე ხალხს ორ და სამ ქეცათ გადაახდევინებს.

საჭიროა დიდი მუშაობა ხალხში. ბევრი მტერი გარს შემოესია, სხვა და სხვა სახით, ცდილობენ ნიადაგი მოუსპონ სახელმწიფოს.

კოოპერაცია, ხალხის გულიდან ამოცენებული, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის კარგი მცოდნე გაუწევს ანგარიშს დღევანდელ პირობებს და დაეხმარება სახელმწიფოს, ვინაიდან კოოპერაციის და სახელმწიფო მონოპოლიის მისწრაფებანი არ არიან მოწინააღმდეგენი.

ს. ავალიანი.

## დამფუძნებელი კრება

11 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა, ყოფილ თფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქის მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ხარჯის დასაფარავად 100,000 მან. გადადებისა, ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა და—კანონის გზა ტკეცილების სამართველოს წარსული წლის ხარჯის დასაფარავად 180730 მან. და 22 კ. გადადების შესახებ.

დეკრეტი ზოგიერთ უმძიმეს დანაშაულობათა განხილვის წესის შეცვლისა.

მომხსენებელი ხ. ჯაფარიძე (ს. დ.) აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ჩვენმა ხალხმა დაადასტურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ არიან ზოგიერთი უკმაყოფილო ელემენტები, რომელნიც ცდილობენ არსებული დემოკრატიული წესწყობილების შეცვლას უკანონო გზით და ილაშქრებენ დემოკრატიის წინააღმდეგ. ასეთმა გამოსვლებმა ამ ბოლო ხანებში მეტის მეტად ფართე ხასიათი მიიღო. ჩვენი მთავრობა მათ დღემდე ლმობიერათ ეპყრობოდა. ამ ჟამად კი მთავრობა შემოდის დამფუძნებელ კრებაში თხოვნით, რომ რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ მიღებულ იქნას ერთ-ერთი ზომა. დადასტურებულ იქნას სამხედრო საგანგებო სასამართლო. მართალია, ჩვენ დღევანდელ კაპიტალისტურ ხანაში საუკეთესოდ მიგვაჩნია ერთი ტიპის სასამართლო, როგორც ინგლისში არსებობს, მაგრამ შექმნილ მდგომარეობისა გამო დღეს ჩვენი სასამართლო ვერ აუდის საქმეებს და ხშირად მთელი თვეობით, თითქმის წლობით საქმე გაურჩეველი რჩება, რაც დაუშვებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში. რომ სწრაფი იყოს სასამართლო, საჭიროა წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა მივიღოთ. ამ დეკრეტის ძალით ადგილობრივ შესდგება სამხედრო საგანგებო სასამართლო და 24 საათის განმავლობაში გაირჩევა საქმე. სასამართლოს მოაწყობენ ადგილობრივ მომქმედი რაზმის უფროსები.

ლ. შენგელაია (ს. რ.) აცხადებს, რომ ამ ზომით ანარქიის ჩაქრობა არ შეიძლებაო. ის წინააღმდეგია წარმოდგენილი დეკრეტისა.

გ. გვაზავა (ნ. დ.) ამბობს: აქ უფრო ლებრივი საკითხია დასმული: როდის შეიძლება მთავრობისათვის წინააღმდეგობის გაწევა. სახელმწიფო უფლება უარყოფს კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევას დემოკრატიულ სახელმწიფოში. ყოველგვარი მოთხოვნა უნდა იყოს კანონიერის გზით წარმოებული. დამფუძნებელი კრების, ან პარლამენტის საშუალებით ყველას ეძლევა უფლება თავისი მოთხოვნილებები წამოაყენოს. როცა ამ კანონიერ გზას უხვევენ, მაშინ აჯანყებასთან გვაქვს საქმე. ამ თვალსაზრისით ჩვენ სიამოვნებით ვემხრობით წარმოდგენილ დეკრეტს. მხოლოდ ჩვენის აზრით ამ დეკრეტს წინ უნდა უძღოდეს სამხედრო წესების გამოცხადება.

გრ. ვეშაპელი (დ. ე. დ.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი დეკრეტი აუცილებლათ უნდა მივიღოთო, მხოლოდ ის აქცევს ყურადღებას ერთ გარემოებას: სახალხო გვარდიაში ურევია ნაბალშევიკარი რუსები, ისინი არ არიან საიმედონი და ამ ელემენტებისაგან უნდა გაიწმინდოს სახალხო გვარდია. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ მარტო რეპრესიებზე არ უნდა შეჩერდეს მთავრობაო. მან უნდა მიიღოს მთელი რიგი ზომებისა, როგორიც არის სატყეო კანონის შეცვლა, და სხ.

ხ. დადიანი (ს. ფ.) იმ მოძრაობას, რომელსაც ამ ჟამად სოფლათ აქვს ადგილი, არა აქვს გარკვეულათ კომუნისტური ხასიათი, ამ მოძრაობაში კომუნისტებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ აშკარა რეაქციონერები, მაგრამ რაც უნდა იყოს, მოძრაობა მაინც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული და ჩვენ მათ წინააღმდეგ სათანადო ზომები უნდა მივიღოთ. ამ მოსაზრებით პრინციპიალურათ ემხრობა ჩვენი ფრაქცია წარმოდგენილ დეკრეტს, მხოლოდ აღნიშნავს მის სიჩქარით შედგენას და ამის გამო ზოგიერთ დეფექტებს და მოითხოვს ის გადაეცეს რომელიმე კომისიას გადასამუშავებლათ.

გრ. გიორგაძე. (ს. დ.) მე არ ვიცი თქვენ როგორ შეითვისეთ და გაიგეთ ბ. დადიანის სიტყვა, მაგრამ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ის კიდევაც სწრის და კიდევაც არა. მან სთქვა: არის მოძრაობა, არის ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოსვლა, მაგრამ აქ ბალშევიზმი არაფერ შუაშიაო და სხვა. ამის თქმა მე ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია მას შემდეგ, რაც ჩვენ ამას წინეთ აქ მოვისმინეთ მთავრობის განცხადება ამ მოძრაობის ხასიათის შესახებ. ყოველ შემთხვევაში საკითხი ასე უნდა დაისვას: ჩვენ ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას და ჩვენი ზომა უნდა იქნეს მიმართული ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც ამ დამოუკიდებლობის წინაღმდეგ გაილაშქრებს. (ტაში) მთავარი ხელმძღვანელნი ამ მოძრაობისა დღეს ბალშევიკები არიან. (ს. მდივანი ადგილიდან: დენიკინი?) ამ ტრიბუნიდან აშკარად და მთელი ხალხის გასაგონათ უნდა ითქვას, რომ ბალშევიკი, დენიკინელი, კოლჩაკელი იქნება ის თუ ჩვენი მოქალაქე, ის დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგია და მას უნდა ვებრძოლოთ. (ტაში).

რაც შეეხება ესერების გამოსვლას, რომ ჩვენ პრინციპიალურად წინააღმდეგი ვართ ამ ზომებისაო, მე აქ უნდა განვაცხადო, რომ იმ დროს, როცა ხალხს, დემოკრატიას თავს ესხმიან, ამ თავდამსხმელების საწინააღმდეგო ზომას ვინც ხმას არ მისცემს, ის არ არის ხალხის წარმომადგენელი.

დეკრეტის აზრით იქ, სადაც უდაოა დანაშაული, 24 საათის განმავლობაში უნდა შეგროვდეს ყოველგვარი მასალა, შესდგეს ოქმი და შემდეგ სასამართლომ უნდა გამოიტანოს თავისი დადგენილება. (ლ. შენგელაია ადგილიდან: ფელთფებელმა?) თვითეული ჩვენთაგანი ფელთფებელი უნდა გახდეს თუ ჩვენს დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ წყობილებას საფრთხე დაუდგება. (ტაში) ბ. შენგელაია შეიძლება ჯარისკაცათაც წავიდეს. (ხმები: „ის არ წავა) და ვინც არ წავა ის სწორედ ამ წესებით გასამართლებული იქნება

აქ გრ. ვეშაპელი შეეხო გვარდიის გაწმენდას იმ უცხო ელემენტებისაგან, რომელნიც არიან გვარდიაში. მე არა ერთხელ მინახავს ის არა ქართველები ბრძოლაში და არც ერთხელ უკან არ დაუხევიათ, პირიქით, ქართველებზე წინ მიდიოდენ! ასეთია რევოლიუციონერის თვისება. რევოლიუციონერი ყველგან რევოლიუციონერია. გვარდიას ყავს სათავეში მთავარი შტაბი, რომელიც სასტიკათ ეპყრობა, როგორც თავის თავს, ისე გვარდიას და ამ მხრივ ჩვენ არავითარი შიში არ გვაქვს. ჯარი და გვარდია ერთად მუშაობდა და მუშაობს, ისინი კვლავ ერთად ხელიხელ ჩაკიდებული იბრძოლებენ ჩვენი დემოკრატიული წესწყობილების დასაცავად (ტაში).

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ მოხდა მუხლობრივი განხილვა დეკრეტისა, რის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა. სხდომის ბოლოს მიღებულ იქნა აგრეთვე დეკრეტის საბოლოო ტექსტი. დეკრეტის წინააღმდეგ მისცეს ხმა სოც. რევოლიუციონერებმა.

(დასასრული იქნება)

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

12 ნოემბერი.

### მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. ვორონეჟის მიმართულება: სად. ტალოვის ჩრდილოეთით ჩვენ ავიღეთ სოფ. ალექსეევსკი, ბობროვის ჩრდილო-დასავლეთით. ლისკის მიმართულებით მებრძოლმა ჯარმა აიღო ბოლდირევკა. ნიჟნე-მედვედიცკას რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერს შეუტია და პერშინომდე უკუ აქცია. წამოვიყვანეთ 400 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 10 ტყვიის მფრქვეველი. ორიოლის მიმართულება: შიგრის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. ჩვენ სად. ტერებუნი დავიჭირეთ. მალო არხანგელსკის სამხრეთით ბოსოვკა ბობროვკა-არხანგელსკოეს ხაზზე ბრძოლაა. ფატეჟის ჩრდილოეთით მტერი განვდევნეთ. ჩერნიგოვის რაიონში მტერი შეეცადა გაყინულ დესნაზე გადმოსვლას, მაგრამ უკუ ვაქციეთ. ჟიტომირის მიმართულება: მზვერავთა მოქმედება და სროლაა. ვინნიცას მიმართულება: მდგომარეობა არ შეცვლილა.

### ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი, ნოემბრის 11. ბრიანსკი, ნოემბ. 10 თეთრგვარდიელთა გაზეთი „იუჟნი კრაი“—იუწყება, რომ ხარკოვში არაყის მონოპოლიის შემოღებას ფიქრობენ, რომელიც თვეში 650 მილიონ მანეთს შემოსავალს მოიტანს. იგივე გაზეთი იუწყება, ხარკოვ-კიევისა და პოლტავა ხარკოვისა და ეკატერინოსლავს შუა მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ.

მოსკოვი. (გაგრძელება) სამხედრო ცნობა. ონეგის მიმართ. დენისლავსკოეს რაიონში ჩვენი მზვერავები კარგად მოქმედებენ, მტრის „ზურგიდან“ ტყვეები წამოიყვანეს. დმიტრიევის მიმართ. ქალ. დმიტრიევთან მტერი დავამარცხეთ, დაგვრჩა დიდძალი ქონება. კურსკის მიმართ. ფატეჟის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. კურსკის რკ. გზის ხაზზე მტერს ვავიწროვებთ და კურსკის ჩრდილოეთით 50 ვერსზე გამოვედით. სად. კასტორნაიასთან ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. ურიუპინის რაიონში ბრძოლა ცვალებადია.

ნაუენი. ნოემ. 10. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ვენა ნახშირის უქონლობის გამო კატასტროფის წინ სდგას. ქალაქის გამგეობამ მცხოვრებთა შორის უკანასკნელი მამარაგებული შეშა დაარიგა.

მოსკოვი. ქრისტიანია, ნოემბრ. 3. უკანასკნელ ხანებში ლიონოზოვის მთავრობის და გენ. იუდენიჩის შორის უთანხმოებაა. იუდენიჩის კრიტიკული მდგომარეობა ძლიერდება კიდევ მით, რომ გელსინგფორსში მყოფ რუსებს არ სურთ ის მობილიზაციის წესი აასრულონ, რომელიც იუდენიჩმა გამოაცხადა.

გომელი, ნოემბრ. 10. კიევის თეთრგვარდიელთა გაზ. „ობიედინენიეს“ ცნობით აჯანყებულნი პოლტავას სამხრეთით შემოერტყენ. ბრძოლა აჯანყებულებთან გრძელდება. ამავე გაზეთის ცნობით კიევ პოლტავას შორის რკინის გზით მიმოსვლა შესწყდა აჯანყებულებთან ბრძოლის გამო. ეკატერინოსლავი აჯანყებულთა ხელშია.

გომელი. ნოემბ. 10. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ წითელ აჯანყებულებმა, რომელნიც დენიკინის ზურგთ უკან მოქმედებენ, ეკატერინოსლავი დაიჭირეს.

გომელი. ნოემბ. 10. რევ. სამ. საბჭოს წევრი იუწყება, დენიკინის უკან დახევის დროს ჩერნიგოვი სრულიად განადგურებულია. დუქნები და მაღაზიები დანგრეულ გაძარცულია.

### ფრანგული პრესის ცნობები

უმაღლესმა საბჭომ ხალხთა ლიგის საბჭოს პირველ ყრილობის მოსაწვევად დებულებანი გამოიმუშავა.

უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა გააფრთხილოს გერმანია, რომ იმ მუნიციპალურ არჩევნებს, რომელიც მან ზემო სილეზიაში დაიწყო, გააუქმებენ.

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ნოტის ტექსტი გერმანიის პროტესტის საპასუხოთ—ბელგიის მიერ ეიპენის და მალმედის ტერიტორიის ოკუპაციის გამო.

### ამერიკული პრესის ცნობები.

პირველ საკითხთაგანი, რომელიც უნდა განიხილოს ხალხთა ლიგამ, არის ჩინეთის საკითხი. ჩინეთი მოითხოვს არა მარტო იაპონელების მიერ შანდუნის დაბრუნებას, არამედ მთელი იმპერიის სუვერენიტეტის აღდგენას, აგრეთვე შანხაის და სხვა ნავთსადგურებს, რომელნიც ინგლისის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ჩინეთი მოითხოვს თავის სუვერენიტეტს ისე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო და სამაგიეროთ უცხოელების დაცვის პირობას იძლევა. ჩინეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ ის არ არის ველური ერი და თვით შესძლებს თავისი საქმეების გაძღოლას და ის არავითარ საფუძვლებს არ ჰხედავს, რომ ჩინეთის ნავთსადგურები საერთაშორისოთ იქნენ გამოცხადებულნი და ესაჭიროებოდეს უცხო სახელმწიფოთა კანტროლი უფრო, ვიდრე ინგლისის, საფრანგეთის და იაპონიის ნავსადგურებს.

### გერმანული პრესის ცნობები

როგორც უკვე ვაცნობებდით, რევოლიუციის წლისთავის დღესასწაულმა ბერლინში შედარებით მშვიდობიანათ ჩაიარა. იყო რამდენიმე ცდა მტრული დემონსტრაციის მოსახდენათ, მაგრამ დემონსტრანტები ადვილათ იქნენ დაშლილნი. „გამარჯვების ხეივანში“ დააზიანეს რამდენიმე ძეგლი, რომლებზედაც წითელი საღებავით დაუწერიათ: „გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას, ძირს კაპიტალიზმი“-ო.

მაქს ვარბურგი ამ ჟამად უდგენს კონფერენციას თავის მოსაზრებებს, უმთავრესად ფინანსიური საკითხის შესახებ. მისი აზრით გერმანიის კრედიტი აღდგენილ უნდა იქნას გარეშე სესხის საშუალებით, რომლის გარანტია უნდა იკისროს ყველა სახელმწიფომ. ნაციათა ლიგასაც დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია, თუ ის მართლაც ნაციათა ლიგას წარმოადგენს. ყველა ვალები ცალკე სახელმწიფოებისა მომავალში უნდა მოწესრიგებულ იქნას ერთი საერთაშორისო სესხის აღებით, საერთაშორისო სესხი, თავისუფალი ყოველ გვარ გადასახადებისაგან, უნდა გამოიშვას ყველა ქვეყნებში. ვიდრე ეს საერთაშორისო სესხი გამოიცემოდეს, საჭიროა ყველა სახელმწიფომ თავისი საგარეო სესხი შეჰკვეცოს განსაზღვრულ ნორმამდე. ვერსალის ზავი არ შეიძლება ჩაითვალოს თითოეული ერის თავისუფალი ნებისყოფით შეკრულ პირობათ. ამიტომ თუ ეს ეგრე გაგრძელდა, ფინანსიური კრიზი თანდათანობით გაღრმავდება და მთელს ქვეყნიერებას შეარყევს.

ბულგარეთისადმი მოკავშირეთა მიერ ახალ მოთხოვნილებათა წარდგენის გამო მთავრობის კრიზისი გაძლიერდა.

შეერთებულ შტატებში უკიდურეს პარტიის აგიტატორთა დაპატიმრება გრძელდება. ათასობით იქნებიან გაძევებული შეერთებული შტატებიდან.

ლონდონში გამართულ ნადიმზე ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: ჯერ კიდევ მოსალოდნელია გამწვავება სახელმწიფოთა შორის ზოგიერთა სადავო საკითხთა გადაჭრის დროს. ოსმალეთის საქმეთა მოსაგვარებლათ საჭიროა სრული შეთანხმება მოკავშირეთა. შავ ზღვაზე გასავლელი გზები ერთგვარათ საჭიროა ყველა სახელმწიფოებისთვის. ყველა ნიშნები იმას მოწმობენ, რომ რუსეთის სამოქალაქო ომი ხანგრძლივ იწარმოებს. განათლებულ კაცობრიობას არ შეუძლია გულდამშვიდებით უცქიროს რუსეთის ქაოტიურ მდგომარეობას. ბალშევიზმი არ შეიძლება იარაღით მოისპოს, მას სხვა საშუალებებით უნდა ვებრძოლოთ.

უკანასკნელი ამბების გამო ვილსონი მოწოდებით მიმართავს ამერიკის ხალხს, მოწოდება მხოლოდ საშუალო ამერიკის ქვეყნდება. პარასკევიდან ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში უკიდურეს მემარცხენე პარტიის წევრებს აპატიმრებენ. აღმოაჩინეს მრავალი სააგიტაციო მასალები. აგრეთვე ყუმბარები და ყალბ ბანკ-ნოტების დასამზადებელი მასალები. ნიუ-იორკში 200 კაცი დაპატიმრეს.

იტალიის მთავრობის ჯარსა და ანუნციოს ჯარს შორის ბრძოლა დაიწყო.

ზურიხის [illegible] კის-[illegible] აღმოაჩინეს კომუნისტური პარტიის ბიურო და რევოლიუციონური ორგანიზაციები. მაკლენბურგში კომუნისტების კრება აღმოაჩინეს, სადაც იპოვეს კომუნ. პარტ. მოქმედების პროგრამა. პროგრამა მე 15 მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თუ გერმანიაში კომუნისტური გამოსვლები მოხდა, ფინანსიური და მატერიალური დახმარება რუსეთიდან ექნებათო. გაზ. „ფორვერტსი“ აღელვებულია იმ ანტისოციალური პროგრამით და თვითეულ მუხლს უწოდებს ბოროტ-მოქმედებას გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგ. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ კომუნისტების ხელმძღვანელნი საშიკიტნოს ლიტერატორებს უფრო გვანან, ვიდრე განათლებულ სოციალისტებს.

## ახალი ამბები

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ე. პ. გეგეჭკორი ინახულა გუშინ მოკავშირეთა ამიერ კავკასიის უმაღლეს კომისრის მოადგილემ პოლკოვნიკ რეიმ და ხანგრძლივი საუბარი ქონდა მასთან.

✦ **ბალშევიკების საქმის გამოძიება.** იუსტიციის სამინისტროს წინადადების თანახმად, თფილისის ოლქის სასამართლომ ბალშევიკების საქმის საგანგებო გამომძიებლობა დაავალა სასამართლოს წევრებს იოს. კობიაშვილს და მიხ. ორჯონიკიძეს. დანიშნულ პირთაგან ი. კობიაშვილი უკვე გაემგზავრა ლაგოდეხში. დღეს იქვე მიემგზავრება თფილისის სასამართლო პალატის პროკურორი მ. ა. ტატიშვილი, რომელსაც სამინისტროსაგან დავალებული აქვს ბალშევიკების საქმის გამოძიების პირადი ხელმძღვანელობა.

✦ **მომქმედ კანონმდებლობის გადასინჯვა.** იუსტიციის სამინისტროში სწრაფად მუშავდება მთავრობაში და დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად პროექტი დეკრეტისა, მომქმედ კანონმდებლობის გადასასინჯად სამინისტროსთან საგანგებო კომისიის დაარსებისა. განზრახულია კომისიის 11 წევრისგან შედგენა: ერთი თავმჯდომარე, ხუთი წევრი სისხლის ს. მართლის და პროცესის და ხუთიც სამოქალაქო სამართლის და პროცესის კოდექსების შესამუშავებლად კომისიის წევრები დაინიშნებიან მთავრობის მიერ.

✦ **დანიშვნა.** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა კანცელარიის მეორე განყოფილების უფროსი დ. ი. წითლანაძე.

✦ **საზღვარ გარეთ წასვლის ნებართვა.** ბრიტანიის კომუნიკაციის აფიცერი იუწყება შემდეგს: ინსტრუქცია იმ პირთათვის, რომელთაც სურთ საზღვარ გარეთ წასვლა, გადასინჯულია. უწინდელი სისტემით წასვლის მსურველთ ორ ადგილას უნდა მიეცათ თხოვნა თფილისში და ბათუმში. ეს ახლა გაუქმებულია. მომავალში მსურველმა პირადად უნდა მიმართოს მხოლოდ ბათუმში. მთხოვნელმა უნდა აღნიშნოს ინგლისურ, ან ფრანგულ ენაზე: 1) სახელი, გვარი და ადრესი დაწვრილებით, 2) რომელ ნაციას ეკუთვნის, 3) მხარე, სადაც უნდა წავიდეს, 4) რა მიზეზით და მიზნით მიდის საზღვარ გარეთ. ეს უკანასკნელი გარკვეულათ უნდა იყოს აღნიშნული. კონსტანტინეპოლში წასვლის ნება საკომერციო საქმისთვის მიეცემა მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც წარმოადგენენ სარეკამენდაციო ბარათს, რომ იმ პირს როგორც კომერსანტს დამსახურებული აქვს ნდობა. თუ არა ასეთი რეკომენდაციით საკომერციო მიზნით კონსტანტინეპოლში წასვლის ნება არავის არ მიეცემა.

✦ **წისქვილის მოსაწყობი იარაღები.** ამერიკის საკონსულო იუწყება, რომ ნიუიორკის ფირმა „ვიქტორ ბელტინგ და ამხანაგობა“ წინადადებას იძლევა, რომ ის მიაწოდებს მსურველთ წისქვილის მოსაწყობ იარაღებს.

✦ **გაზეთ „საქართველო“-ს დახურვა.** 11 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით დახურეს გაზეთი „საქართველო“. მის მაგიერ გამოვიდა გაზეთი „ახალი საქართველო“.

✦ **კინემატოგრაფი სოფლად.** ქალაქის შრომის ბირჟამ დამლევ აგვისტოს მოაწყო მოძრავი კინემატოგრაფი. შრომის ბირჟის მიზანი იყო სახსრის მონახვა შრომის ბირჟის უფასო საჩაისათვის შექმნილ იქნა კინემატოგრაფისათვის. საჭირო ნივთები. სურათებს შორის იყო ნაჩვენები „რევოლიუციონერი“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი“. სურათების მოწყობა დაევალა შრომის ბირჟის გამგეს, რომელმაც ორი თვის განმავლობაში მოიარა მთელი ქუთაისის გუბ. პროვინციები. სურათები აჩვენეს შემდეგ სოფლებში: ვექთომანი, ჯიხაიში, ქულაში, ლანჩხუთი,

...ნისი, ჰაგანი, ტობანიერი, ვანი, ...რმალოლი, წყუშური, გომი, საჯავა-...ო, საჭამიასერი, ჩოხატაური, ხიდის-...ავი, ბახვი, ცხემლის ხიდი, შემოქმე-...ა ხვარბეთი.

ბილეთების ფასი იყო 3—10 მ. იშ-...თად 15—20 მ. სურათები ნახა სულ ...291 კაცმა, იმათგან უფასოდ 2000 ...ცმა და 2923 ბავშვმა.

✦ **სანდრო მაისურაძის სახელობის** ...ავარ ბიბლიოთეკა სამკითხველო, არ-...ბული პროფესიონალურ კავშირებთან, ...იაა ყოველ დღე დილის 10—1 საა-...მდე. სალამოს 5—8 საათამდე. კვი-...ობით 11—1 საათამდე.

✦ **დღეს**, სალამოს 6 ს. სახ. უნივერ. ...თულ განყოფილებაში დანიშნულია ...მდეგი მორიგი ლექციები: 1 განყოფ. ...აძალადევი) 1) ს. მესხი „სამშობლოს ...წერა". 2) ირემაშვილი „ეკონომიური ...კითხები". მესამე განყოფ. (სულურე-...) 1) აბრამაშვილი „ხელოვნების ის-...ორია". 2) ბარნოვი „ქართული მწერ-...ობა„. მეოთხე განყოფ, (ორთაჭალა) ...1 შალამბერიძე „ქიმია". 2) კოტეტი-...ილი „სოციოლოგია.

✦ **საზღვარ გარეთ გასაგზავნ სტუ-...ენტთა საყურადღებოთ.** სტუდენტებმა, ...ომლებიც საზღვარ გარეთ იგზავნებიან, ...ჩქარებით უნდა აიღონ შინაგან საქ ...თა სამინისტროსაგან პასპორტები და ...რადგინონ განათლების სამინისტროში.

✦ **სახელმწიფო თეატრში** კვირას, ...1 ნოემბერს, დილის მომწყობი კომი-...ა აცხადებს ყველა მათ საყურადღე-...ოთ, ვინც იყიდა დილის ბილეთები, ...ყვითელო ქაღალდზე დაბეჭდილი, ...რტო სახელმწიფო თეატრის ბეჭედით ...ლეთების წიგნაკების დაკარგვის გამო ...უქმებულათ ჩაითვლება, ნაცვლათ ამ ...ლეთისა, ნამდვილათ ითვლება ბილე-..., რომელიც დაბეჭდილია წითელ ქა-...ლდზე და სახელმწიფო თეატრის ...ედთან ერთად აზის მეოთხე რაიო-...ლი კოლექტივის ბეჭედი. მათ ვინც ...ლეთი უკვე იყიდა, გაუქმებულ ბილე-...ს ნაცვლათ შეუძლია მიიღოს ნამ-...ლი ბილეთი, იმისაგან, ვინც მიჰყი-...ვისაც წაღებული აქვთ დილის ბი-...თები გასასყიდათ, უნდა გამოცხადენ ...შაბათს, სალ. 5 ს. ვერის მუშათა ...ების დარბაზში, მორიგი სხდომის-...ის.

✦ **სამგლოვიარო დეპეშები.** თია-...ის სამაზრო ერობის გამგეობა გლო-...ბს თავისი საუკეთესო თანამშრომე-... შეუდარებელი მოქალაქე ბუდან ...ანოვის უდროოთ დაკარგვას. ერო-... გამგეობა.

— თიანეთის სოციალ-დემოკრატიული ...ლექტივი თავზარ დაცემულია პარ-...ის საუკეთესო წევრის ამხანაგ ბუდ-...ნ ბეჟანოვის უდროვოთ დაკარგვით. ...ანეთის ს. დ. კოლლექტივი.

— თიანეთის სახალხო გვარდია თავ-ზარ დაცემულია საუკეთესო ამხანაგ გვარდიელის ბუდან ბეჟანოვის უდრო ვოთ გარდაცვალებით. გულ დათუთქუ-ლი ვგლოვობთ მის ოჯახობასთან ერ-თად. შტაბი.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, სალამოს 7 საათზე, დანიშნუ-ლია საქართველოს წითელი ჯვრის სა-ზოგადოების სარევიზიო კომისიის კრე-ბა მთავარ სამმართველოს კანცელარია-ში (საბებიო ინსტიტუტის შენობაში).

— დღის. ყოფილ სასტ. „ბო-მონ-დის" ბინაზე მზარეულთა პროფესიონა-ლური კავშირი იწვევს მორიგ საერთო კრებას წევრებისას.

— დღეს, საღ. 6 ს., ბიუროს ბინა-ზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, სალამოს 5 საათზე, პირვე ლი რაიონის ახალგაზრდა მარქ. წრეში დანიშნულია მორიგი მოხსენება.

— დღეს, საღ. 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა.

— ხუთშაბათს, სალამოს 6 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონული კო-ლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, სალამოს 5 საათზე, ბიუ როს დანიშნულია ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონული კოლექტივის წევრთა მო-რიგი სხდომა.

## ერობების ცხოვრება

**ტეხნიკური ძალების ყრილობა.**

ერობათა კავშირის მთავარი კომი-ტეტის პრეზიდიუმმა იქონია მსჯელობა ერობების ტეხნიკური მუშაობის კონ-სოლიდაციაზე და საერთო მიმართუ-ლების მიცემაზე თავის სხდომაზე 6 ნოემბერს.

გადაწყდა მოწვეულ იქნას ყველა ერო-ბის ტეხნიკური ძალების ყრილობა. ყრილობის წესრიგის და მოხსენებების დამზადება დაევალა პრეზიდიუმის ერთ-ერთ წევრს.

**ერობებში მომუშავე სასურსათო გან-ყოფილების გამგეთა თათბირის მოწვევა.**

ვინაიდან სასურსათო საკითხი ფრიად მწვავედ სდგას და მის სათანადო კალა-პოტში ჩასაყენებლად დიდი მნიშვნე-ლობა ექნებოდა ადგილობრივ ერობათა წარმომადგენლების პრაქტიკულ მოსაზ-რებებს იმის შესახებ, თუ რა ვაკეთოთ ან რა გზით ვიაროთ, ამ სფეროში ერ. კავშირის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 16 ნოემბრისთვის ერობათა სასურსათო დარგში მომუშავეთა თათბირი. თათ-ბირზე წარმოდგენილ იქნება მოხსენე-ბანი ადგილებიდან სასურსათო საკით-ხის შესახებ გარკვეულ იქნება ერობათა სასურსათო მოღვაწეობის როლი ადგი-ლობრივ, შემუშავებულ იქნება ერობა თა და სახელმწიფოს მომავალ მუშაობის გეგმა.

**ერთდროული გადასახადის და ღალის საკითხი.**

ერ.-კავშირის პრეზიდიუმმა გაუგზავნა მიმართვა ფინანსთა და ვაჭ.-მრეწველ. სამინისტროს რათა განმარტონ ერთ დროულ სამიწო გადასახადის კანონის ზოგიერთ მუხლები. ერ.—კავშირი თხოულობს რათა გლეხები, რომლებიც იხდიან ღალას განთავისუფლებულ იქ ნან ერთდროულ სამიწო გადასახადისა-გან, ვინაიდან მიწის მესაკუთრეა დღეს დღეობით სახელმწიფო და არა გლეხი.

## ქართველ მწერალთა საყურადღებოთ

9 ნოემბერს მწერალ ვ. რუხაძის ბი-ნაზე შესდგა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის კრება ვ. რუხაძის თავმჯდო-მარეობით.

კრებამ დაადგინა შევიდეს ქართველ მწერალთა საერთო კავშირში, როგორც განსაკუთრებული ჯგუფი.

მწერალთა კავშირის გამგეობაში და-სასწრებლათ დამსახურებულ და ნიჭიერ მწერალთათვის უზრუნველყოფის კანონ პროექტის დამუშავებისთვის არჩეულ იქმნენ ვ. რუხაძე და ს. აბაშელი.

ჯგუფის გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ვ. რუხაძე, ს. აბაშელი და ობოლი მუშა.

კრებამ დაადგინა ამ მოკლე ხანში გა მოცემულ იქმნას ყოველთვიური სამ ხატვრო.-სალიტერატურო ჟურნალი „ცი სარტყელა". ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში არჩეულ იქმნენ: ივ. გომარ თელი, ს. აბაშელი, პ. ირეთელი, ობო ლი მუშა და არჩილ რუხაძე

კრებამ დაავალა მწერალთა საერთო კავშირის გამგეობაში გაგზავნილ პირებს დასვან მორიგ საკითხათ მწერალთა კონ-ფერენციის მოწვევა ამ მოკლე ხანში.

პლებეი.

## საქართველოს გარშემო

პავლე აგაევის წერილიდან, რომელიც მოთავსებულია ოქტომბრის 30 ს „დონ-სკია ვესტ"-ში.

ბ. აგაევი თავისი სურვილით გამგზავ-რებულა საქართველო ადერბეიჯანში, დაუთვალიერებია ეს რესპუბლიკები და შემდეგ ასწერს თავის შთაბეჭდილებებს და შეხედულებას მათ შესახებ. კერძოთ საქართველოს შესახებ იგი სწერს:

„პირადი დაკვირვებიდან და იმ ხალ-ხის განცხადებებიდან, რომელიც ამიერ-კავკასიას დიდი ხანია იცნობს, ცხადია, რომ ამიერ კავკასიის დირიჟორათ ამ ჟამათ არის საქართველო, ერთად ერთი მხარე ამიერ კავკასიისა, რომელმაც (სა-ქართველომ) დაამყარა მტკიცე, სამაგა-ლითო სახელმწიფო წესრიგი, და რო-მელსაც აქვს საკმაო შანსები და შესა-ძლებლობა, რომ ის იარსებებს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ იგი ამას ეცდება, და თუ სხვაგვარი შესაძ-ლებლობა არ იქნება ქართველ ხალხის თვის უფრო მისაღები.

თფილისში ჩავედი მე 27 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელ კრების მე ორე სესიის გახსნის წინ.

საქართველოში მე მაინტერესებდა უმეტეს ნაწილად 3 საკითხი: იქ რუსე-ბის მდგომარეობა ამ ჟამად, საქართვე-ლოს მთავრობისა და ხალხის მოპყრო-ბა მათდამი; ქართველების შეხედულე-ბა რუსეთის სახელმწიფოებრივობის იდეიაზე, საქართველოს რუსეთთან შე-რთების შესაძლებლობაზე და პირობაზე და ბოლოს, რაც მე ეხლა უფრო მნიშ-ვნელოვანათ მიმაჩნდა—შეგვიერთდება თუ არა ჩვენ საქართველო ბოლშევი-კების წინააღმდეგ ბრძოლაში და თუ შეგვიერთდება, რა პირობებში.

არ შემიძლია არ ვსთქვა რაიმე სა ქართველოს სახელმწიფოებრივ წყობი-ლებაზე და ზოგიერთ კანონებზე, რად გან ეს კანონები, რომლებიც მიღებუ-ლია საქართველოს დამფუძნებელ კრე ბის მიერ და ნაწილობრივ უკვე ცხოვ-რებაში გატარებულია, ცხად ყოფენ სა-ქართველოს დამოუკიდებლობას ჩემ მიერ ზემოთ ნაჩვენებ 3 პრობლემაზე.

საქართველო დემოკრატიული რეს პუბლიკაა. უმაღლესი ორგანო მისი არის დამფუძნებელი კრება, არჩეული ოთხიან ფორმულის საფუძველზე, წარ მომადგენლობის პროპორციონალური სისტემით, და რადგანაც მთელი საქარ თველო წარმოადგენდა ერთ საარჩევნო ოლქს, მის მცხოვრებთა უმრავლესობას მათ რიცხვში რუსებსაც ჰყავდათ თავი-სი დეპუტატები დამფუძნებელ კრე-ბაში.

აღმასრულებელ ორგანოს სათავეში დგას მთავრობა, შემდგარი 5 კაცისა გან (განსაკუთრებული პრეზიდენტი რესპუბლიკისა არ არის), რომელიც პა სუხს აგებს პარლამენტის წინაშე.

დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონიდან უნდა აღინიშნოს: მიწის კა-ნონი, რომელიც სხვათა შორის, ძლიერ ჰგავს ჩვენი დონის მიწის კანონს, კა-ნონი საერობო და საქალაქო მმართვე-ლობისა და ადგილობრივ საარჩევნო სამართალზე (მომრიგებელი მოსამარ თლენი) კანონი საქართველოს მოქალა-ქეობაზე და სამხედრო ბეგარაზე. ამ უკანასკნელ კანონის მიხედვით, გა-წვეულია ჯარში მხოლოდ ქართველი ახალგაზრდობა, რადგან რუსის და სხვა ერებს მიცემული აქვთ სამი თვის ვადა იმ საკითხის გამოსარკვევათ, ღებულო-ბენ ისინი საქართ. ქვეშევრდომობას თუ არა. მე ისევ დავუბრუნდები იმ მთავარ საკითხებს, რომლებიც უფრო მაინტე რესებდა და რომლებიც ზემოთ აღვნიშნე.

საქართველოში დარჩენილ რუსების ინტერესს შეადგენს მიიღონ განათლება რუსულ ენაზე და იმსახურონ სახელმწი-ფო, საზოგადო ან კერძო დაწესებულე-ბაში. პირველ კითხვის შესახებ დანამ-დვილებით შემიძლია ვთქვა, პირველ დაწყებითი სწავლა სახაზინო სკოლებში სწარმოებს სამშობლო ენაზე, რის გამო ხსნიან სკოლების საკმაო რიცხვს, სა-დაც არის სწავლა ქართულ, რუსულ, სომხურ და ოსმალურ ენაზე. საშუალო სკოლებში საგნებს ასწავლიან ორ ენა-ზე, ქართულზე და რუსულზე. ქ. თფი-ლისის ყველა საშუალო სასწავლებლე-ბის 60 პროცენტში ნაციონალიზაცია არის, და 40 პროცენტში საგნებს ას-წავლიან რუსულ ენაზე.

უნივერსიტეტში ნაციონალიზაცია არის, პოლიტეხნიკუმში კი რუსულ ენა ზე იკითხება ლექციები.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, მისი გახსნის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს და საგნების სასწავ-ლო ენის არჩევაც მასზე არის დამოკი-დებული. უფრო რთულია საკითხი რუ-სების სამსახურით უზრუნველყოფისა. რუსი გლეხები ისევ წინანდელ მდგომა რეობაში არიან—მიწის საკუთრების უფლება რჩება მათზე სავსებით.

მაგრამ ინტელიგენციამ დაჰკარგა თა-ვის სამუშაოს ნაწილი, რადგან სახელ-მწიფო დაწესებულებების დიდი ნაწი-ლის გაეროვნება მოხდა. დარჩა სამუ-შაო მხოლოდ სკოლებში და კერძო, უმთავრესად საბანკო და სავაჭრო სამ-რეწველო დაწესებულებებში.

უსამსახუროთ დარჩენილი რუსის მო-ხელეები შეადგენენ „რესპუბლიკით უმ თავრეს უკმაყოფილო ელემენტს".

მე მესმის მათი მდგომარეობა, მაგრამ აი საქმე რაშია: ვინ ვისთვის არსებობს, მოხელეები ხალხისთვის თუ ხალხი მო-ხელეებისთვის? მე ორი დღე ვიყავი გურიის სოფელში და ორი დღე კახე-თის. ამ სოფლებში მე როგორც რუსს, მექცეოდენ ძლიერ კარგათ, მაგრამ უნ-და ვთქვა ისიც, რომ ამ სოფლების მცხოვრებლებმა ერთი სიტყვაც არ იციან რუსული. მათთან ლაპარაკი შე-მეძლო მხოლოდ თარჯიმანების შემ-წეობით.

საცოდავია რუსის მოხელეები, რომ-ლებიც უდანაშაულოთ ჩავარდენ ასეთ მძიმე მდგომარეობაში, სახელმწიფო და-წესებულებების გაეროვნების გამო, მაგ-რამ ასეთივე საცოდავია ხალხი და მი-საღებია მათი უფლება, მოითხოვონ სა-სამართლოს წარმოება და მართვა-გამ-გეობა თავის გასაგებ ენაზე, რადგან „შაბათი არის ადამიანისთვის და არა ადამიანი შაბათისათვის", და რომ მო-ხელეები არსებობენ ხალხისთვის და არა ხალხი მოხელეებისთვის. თფილისში არსებობს რუსული ნაციონალური საბ-ჭო, რომელიც საქართველოს მთავრო-ბის მიერ ცნობილია რუსეთის მცხოვ-რებლების ოფიციალურ ორგანოთ, და რომლის საშუალებითაც რუს მცხოვ-რებლებს შეუძლიათ დამოკიდებულება იქონიონ სახელმწიფო დაწესებულე-ბებთან.

ამ საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია უ ა. კალიუჟნი, მემარჯვენე ესერი.

ჩემ კითხვაზე, თუ როგორ მოეწყო საქართველოში რუსების ცხოვრება, მან გადაჭრით მიპასუხა, რომ ცხოვრება შეი-ძლება, ქონებრივი უფლება დაცულია კა-ნონით, რუსებსსაშუალება აქვთ მიიღონ სწავლა თავის ენაზე და ამის გარდა სა-ქართველოს მთავრობა ძალას არ ატანს რუსებს იმსახურონ საქართველოში მხედრობაში.

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვით არ მოვიხსენიოთ ყოფილი რუსის სამხედ-რო პირები და კერძოთ აფიცრები.

პრესის ერთ ნაწილში მიღებულია და უდავოა, რომ რუსის აფიცრები საქარ-თველოში საშინელ მდგომარეობაში იმ-ყოფებიან.

ის, რაც მე ვიხილე ჩემი თვალით და გავიგე სარწმუნო წყაროებიდან, სრუ-ლებით არ შეესაბამება ამ ასეთ გავრცე-ლებულ შეხედულებას.

მე ვნახე თფილისის ქუჩებზე მრავა-ლი გენერლები და აფიცრები რუსის ჯარის ფორმაში და როდესაც სტუდენ-ტების სასადილოშიაც შევედი აქ დო-ნის ჯარის მამასახლისსაც შევხდი. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. რას აკეთებენ საქართველოში ყველა ეს აფიცრები მე არ ვიცი, მაგრამ გარეგ-ნობით სრულებით არ ახდენენ შევიწ-როებულთა შთაბეჭდილებას.

სარწმუნო წყაროებიდან არის ცნო-ბილი, რომ საქართველო ერთად-ერთი ქვეყანა ყოფილა რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, სადაც რუსის აფიცერნი არ ყოფილან იძულებულნი ერთი დღით მაინც გაეხადათ თავის ფორმა".

(დასასრული იქნება)

## სამუსიკო სასწავლებელი ქუთაისში

მეცხრე თვეა რაც ქართულ სამუსი-კო საზოგადოების ქუთაისის განყოფი-ლებამ აქ ცნობილ კომპოზიტორ მე-ლიტონ ბალანჩივაძის თაოსნობით და ენერგიული მეცადინეობით დაიარსა სა-კუთარი სამუსიკო სასწავლებელი. იგი ამ წლის 2 თებერვალს გაიხსნა ყოფილ სახაზინო პალატის ბინაში (ბალახვანის ქუჩა) და წასულ სამოსწავლო წლის 300 მოსწავლე ქალ-ვაჟი მიიზიდა; მათ

## ახალი წიგნები

„შვიდი მნათობი", № 2, ამიერ-კავ-...ის კოოპ. კავშირის გამოცემა.

...თანამედროვე მკითხველი ერთობ და-...რებულია წიგნებზე. რაც ომი და-...ო, განსაკუთრებით კი რევოლიუცია, ...ლი, სერიოზული წიგნები, ცალკე ...ოგრაფიები გაქრენ საგამომცემლო ...რიდან. აღარ გამოდის სქელი ...ნალი აღარც უცხო, აღარც ქარ-...ლ ენაზე, რომელიც ასეთ დიად ...ლს თამაშობდა საზოგადოებრივ აზ-... განვითარებაში, ასაზრდოებდა თა-...დროვე მკითხველის მოწყურებულ ...ნებას.

...ერ ოთხი ხუთი წელია, რაც ჩვენ ...ვებით საგაზეთო ლიტერატურით, ...ბისმოყვარეობით შეპყრობილ, ცოდ-... შეძენით მოშივებულ თანამედროვე ...თხველს აწვდიან, საგაზეთო პატარა ...ილებს, რომელთა შინაარსია მხო-...დ პოლიტიკა და პოლიტიკა. ლიტე-...ტურამ ძალაუნებურათ მიიღო ცალ-...ვე, ერთფეროვანი ხასიათი, ის დამ-...და, დაკნინდა, რადგან სერიოზულ, ...ალფეროვან გამოკვლევებს, ან დიდ ...ურულ ნაწარმოებს გაზეთი ვერ ...ნს. გაზეთი, გაზეთი—აი ჩვენი დრო ...ლიტერატურა! მკითხველის გონება ...რა, გაერთფეროვანდა.

...ა როდესაც ასეთ პირობებში სამ ...ომრო ბაზარზე ჩნდება რომელიმე ...ი შრომა, ან სქელი ჟურნალი, მკი-...ელი, ასეთ წიგნებით დიდი ხნობით ...ყურებული, მას ეწაფება, მისი გო-... ისვენებს მასზე, ასეთი წიგნები ...ან ფსიქოლოგიურ ეპოქას მის ცხოვ-...ში. ასეთი მნიშვნელობა აქვს დღე-...ელ პირობებში წიგნის ან ჟურნა-... გამოცემას.

...ე დიდი, კულტურული საქმე ჩვენში ...რია ამიერ კავკასიის კოოპერატივ-... კავშირს. მას მიუღია თავის თავზე ...ოზული, სქელი ჟურნალის გამოცე-... რომლის სახელია „შვიდი მნათო-... დღეს ჩვენ გვაქვს უკვე ამ ჟურნა-... მეორე ნომერი. გამომცემლების ...ელოთ უნდა ითქვას, რომ გამო-... გარეგნულათ მშვენიერია, საკმაოთ ...ლი (468 გვ.), შინაარსით მრავალ-...ვანი, ჟურნალი მეტათ სიმპატიურ ...ბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ღირს ძალიან ძვირათ (75 მ.). ეს ფასი საშვალო შეძ-ლების დემოკრატიულ ინტელიგენციის-თვის, რომლისთვისაც უნდა იყოს და-ნიშნული, ჩვენის შეხედულობით, „შვი-დი მნათობი", პირდაპირ შეუძლებლათ ხდის მის შეძენას. ამას უნდა მიექცეს მომავალში ყურადღება, თუ გამომცემ-ლებს სურთ ჟურნალმა თავის დანიშნუ ლებას ემსახუროს. ჩვენის აზრით, თუ ასეთი დიდი ფასი გამოწვეულია გამო-ცემის აუცილებელ ხარჯებით, მაშინ უმჯობესია ჟურნალის სივრცე შემცირ-დეს საგრძნობლათ, მაგრამ ის გამოდი-ოდეს პერიოდულათ, ყოველ თვე.

შინაარსის მხრით ჟურნალი გაიყო-ფება ორ ნაწილათ, ერთი მხატვ-რულ ნაწარმოებათ, მეორე მეცნიე-რულს. პირველის შესახებ საერთოთ უნდა ვსთქვათ შემდეგი: ამ მხრით „შვიდ მნათობს" ეტყობა ერთგვარი გაურკვევლობა, უფიზიონომიობა, ასე ვთქვათ, გადაჭარბებული სტუმართმოყ-ვარეობა. ამით ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა კი არ გვსურს, რომ კოოპე-რატივთა კავშირის მიერ გამოცემულ ჟურნალს ქონდეს ვიწრო პარტიული მიმართულება. მაგრამ ერთი რამ უდა-ვო უნდა იყოს: კოოპერატიულ ორგა ნიზაციის, როგორც უაღრესათ დემო-კრატიულის, გამოცემას უნდა ახასია-თებდეს უსათუოდ თანდათანობით გა-ყვანილი რეალიზმი, უნდა იყოს გამს-ჭვალული პოზიტიურ მეცნიერული სუ-ლით. ამისგან არ უნდა იყოს თავისუ-ფალი არც ჟურნალში მოთავსებული მხატვრული მასალა.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ჩვენ „შვიდი მნათობის" მხატვრულ ნა-წილს, არ შეიძლება ითქვას, რომ სა რედაქციო კოლეგია ანგარიშს უწევდეს ნაჩვენებ შეხედულებას. მაგ., სრულე ბით არაფერი დააკლდებოდა ჟურნალს, რომ იქ არ დაბეჭდილიყო პაოლო იაშვი-ლის ლექსი „წერილი დედას". ეს კი არა, არც ბ-ნ გრ. რობაქიძის ლექსი „საქართველოს" იყო ღირსი, რომ ად-გილი ქონებოდა ისეთ სერიოზულ განზ-რახვებით გამოცემულ ჟურნალში, რო გორიცაა „შვიდი მნათობი".

ვინ არ იცის, რომ ჩვენი სიმბოლის-ტები სწერენ ლექსებს მხოლოდ თავისი თვის, ხანდახან ხომ თითონაც არ იციან რაზე სწერენ. ასეა ამ შემთხვევაშიაც. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ამ ლექსებში ვერავითარ შინაარსს, ვერა-ვითარ პოეტურ აზრსა და აღმაფრენას ვერ შევხვდებით, ისინი მოკლებულია გარეგან პოეტურ სილამაზეს, იქ დარ ღვეულია, ლექსთაწყობის ყოველგვარი კანონი. ახალს, ხელოვნურათ შექმნილს, მაგრამ არაფრის გამომხატველ სიტ ყვებს ხომ საზღვარი არ აქვს. აი ნაწ-ყვეტი პ. იაშვილის ლექსიდან:

„სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი,
და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება
იქ შაბიამანი,
ვით თვალის უპე, როცა მე არ მხურავს
ღამეში საბანი.
დედა, ინახულე
შენ წმინდა ხახული!
წადი ფეხშიშველი
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე
გაათიე.
ღმერთო აპატიე,
მე თუ ვერ მიშველი,
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიგძე სან-
თელი,
მისთვის რომ ჩემს გულში დაყუჩდეს
გრიგალი და კორიანტელი.

მოდით და გაიგეთ, რა სურს, რა აწუხებს პოეტს! ბ-ნი გრ. რობაქიძე კი თავის ლექსში „საქართველოს", ახალს, რაღაც საიდუმლოებით მოცულ, თავი-სებურებას გვამცნობს. ლექსში თითქმის ყოველ ორ სიტყვის შემდეგ დასმულია ორი წერტილი (:) მაგალითად:

„ტაძარი ოშკის: თეთრი ლოცვით
ბთოვლებული
საშო ზმანების: ხან მყოფელი და ხან
კი ბერწი".

ჩვენის აზრით ორივე ამ ლექსს ყო ველმხრივ არა სასიამოვნო დისონანსი შეაქვს ჟურნალის საერთოთ საინტერე სო შინაარსში. „შვიდ მნათობში" ამ ლექსების მოთავსება არის მათი ავტო-რების მიმართ დაუმსახურებელი პა-ტივისცემა.

მხატვრულ ნაწილში ყურადღებას იპყ-რობს ლამაზათ და ჩვეულებრივ მუსიკა-ლური ლექსით დაწერილი „ელბერდ ბა-ტონიშვილი" სანდრო შანშიაშვილისა და ნ ლორთქიფანიძის ლეგენდა „ძლი ერნი სულნი". ამ უკანასკნელს ეტყობა პოეტური ნიჭი. თავის ლეგენდაში ავ ტორი გვევლინება როგორც ძლიერი პიროვნების, ზე კაცის მომღერალი. „დიახ,—ამბობს ავტორი—იყვნენ ადა მიანები ძლიერი სულით, ამაყნი, ქედ მოუხრელნი, დაუდრგომელნი". „სძულ-დათ და უყვარდათ არ გრძნობით—მთე-ლი სხეულით, აზრით, სიხარულის ცრემ-ლებით და ტანჯვა ხარხრით". „არ გვგავდენ ჩვენ, ლოკოკინასავით მოლო ღიალე ხალხს, მატლებს ამა ქვეყნისას".

ავტორი, როგორც ეტყობა, უკიდუ რესი ინდივიდუალისტია, იმ ტიპის, როგორიც იყო მაქსიმ გორკი მისი მწერლობის პირველ პერიოდში, თვით ლეგენდა ნ. ლორთქიფანიძის განცდის საგრძნობ გავლენას სახელგანთქმულ რუს მწერლისა (შეადარე გორკის „Старуха Изергиль" Макаръ Чуд" და სხვა). ლეგენდა ლამაზათაა დაწერილი.

ჟურნალის მეცნიერულ ნაწილში სა-ინტერესოა, სხვათა შორის, ბ-ნ ს. კა კაბაძის მონოგრაფია მეფე ირაკლი II დროის შესახებ. ჩვენი ისტორიული ლი-ტერატურა მეტათ ღარიბია ასეთი მო-ნოგრაფიებით, რომელთაც მიზნათ უნდა ჰქონდეთ ჩვენი ისტორიის ცალკე ეპო ქების, ცალკე საკითხების გამოკვლევა. ყოველი ცდა ამ მიმართულებით სასი-ხარულო და მისასალმებელია. ბ-ნ ს. კაკაბაძეს სინდისიერათ შეუსრულებია თავის მიზანი, შრომაში ბევრი ახალი აზრი, ახალი თვალსაზრისია გამოთქმუ-ლი ჩვენი ისტორიის ამ მნიშვნელოვან და რთულ ეპოქის შესახებ. სხვათა შო-რის, ავტორის აზრით ის ფაქტი, რომ ირაკლის II სურვილი საქართველოს გაერთიანების, მისი პოლიტიკური და ადმინისტრატიული ცენტრის შექმნა არ განხორციელდა, აიხსნება უფრო ღრმა მიზეზებით, ვინემ ზოგ ისტორიკოსებს ჰგონიათ.

ავტორი სამართლიანათ აღნიშნავს, რომ „საქართველოს ცხოვრების ზედა-პირზე არ იყო ისეთი ელემენტი, რო მელსაც შესძლებოდა ფეოდალურ ძალის მაგიერობა გაეწია და რომლის დაყრდ ნობა უზრუნველყოფდა ახალ ცენტრა-ლისტურ მართველობის დამყარების საქმეს". ბ-ნ კაკაბაძეს ასეთ ელემენტათ მიაჩნია მოქალაქეობრივი ცხოვრების გა-ნუვითარებლობა ჩვენში, არ არსებობა იმ კლასის, რომელსაც დასავლეთ ევრო-პაში მესამე წოდებას ეძახდენ. სამწუ-ხაროდ, ავტორს ეს სალი აზრი არ აქვს უფრო ვრცლად განვითარებული, ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, რომ მას მეტი ყურადღება მიექცია ირაკლი მე 2-ის დროის ეკონომიური ცხოვრე-ბის გამოკვლევას.

კიდევ აღსანიშნავია ამ შრომაში ერთ-გვარი წინააღმდეგობანი, რაც აიხსნება, ალბათ, ბ-ნ ს. კაკაბაძის საერთოთ მართალ თვალსაზრისის დაუდრგომლო-ბით. საქმე იმაშია, რომ ავტორს მთელს მონოგრაფიაში აქვს საკმაო საბუთები მოყვანილი, რომლებიც მჭერმეტყველუ რათ ამტკიცებენ ჩვენი ფეოდალების საერთოთ ანტიეროვნულ მოღვაწეობას, განსაკუთრებით ირაკლი II ხანაში. ეს მოღვაწეობა გამოიხატებოდა, როგორც თვით ავტორი ხშირათ უსვამს ხაზს ამას, იმაში, რომ ქართ. ფეოდალების დიდი უმრავლესობა თავიანთ ვიწრო წოდებრივ პრივილეგიების შესანარჩუ-ნებლათ არ ერიდებოდენ არც ინტრიგებს მეფის წინააღმდეგ, არც გარეშე მტრის-თვის ხელის შეწყობას. ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა.

მაგრამ ასეთ შეხედულებასთან ერთათ ჩვენ ამ შრომაში ვხვდებით ავტორის მიერ მტკიცებას, რომ ფეოდალები ხშირათ გამოდიოდენ „ეროვნულ დრო-შის მებაირაღტრეთ"; (გვ 145) რომ, როგორიც უნდა ყოფილიყო ურთიერ-თობა, ხშირათ ფრიად გამწვავებული დიდ თავადთა შორის, მაინც მსხვილი ფეოდალური ელემენტები სამეფო დი-ნასტიის დასუსტებისა და გარეშე სა-ფრთხის დროს ხშირად გამოდიოდენ ეროვნულ ცხოვრების მედროშეთ." (გვ. 151) ასე სწერს პატივცემული ავტორი მაშინ, როდესაც მისი საბუთებიანი მო-ნოგრაფია უარყოფა ამავე შეხედუ-ლობის.

შემდეგ ჟურნალში მოთავსებულია ცნობილ რუს პროფესორის ნ. როჟკო-ვის დიდი შრომის ნაწილის თარგმანი. ეს ნაწილი ეხება რუსეთის ისტორიის უკანასკნელ ხანას (19 და 20 ს.) ნ. როჟ-კოვი ცნობილი მარქსისტია. მან რუსე-თის ისტორია გააშუქა ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით. ვისაც სურს ნათლათ და მკაფიოთ გაერკვეს მე-20 საუკ. მომხდარ რუსეთის საზოგა-დოებრივ მოძრაობაში (1905 და 1917 წ. რევოლიუციები), მას დაბეჯითებით ვურჩევთ წაიკითხოს „შვიდ მნათობში" ეს მისი შრომის თარგმანი.

აქ ვსარგებლობთ შემთხვევით და შემდეგი უნდა აღვნიშნოთ. ნ. როჟკო-ვი 1917 წლ. რევოლიუციაზე მსჯელო-ბას ასე ათავებს: „ამავე ომმა ძირიან-ფესვიანად შეარყია დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმი. იქ რიგში დადგა საკით-ხი სოციალიზმის განხორციელების შე-სახებ. თუ ეს მართლაც მოხდა, მაშინ ჩამორჩენილი ქვეყნები, მათ შორის რუსეთიც, იძულებული იქნებიან იმავე გზას დაადგენ. ამისთვის ახალმა დე-მოკრატიულმა და რესპუბლიკანურმა რუსეთმა უნდა შეიმუშაოს რევოლიუ-ციის განმავლობაში ისეთი რეფორმე-ბი, რომლებიც მოამზადებენ მას სო-ციალიზმისათვის ისე, რომ იგი მზად დაუხვდეს იმ უდიდეს ცვლილებებს, რომელთა შესაძლებლობა ნათლად ისა-ხება მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებ-ში". (ხაზი ჩვენია).

ამას წინათ, გვარდიელთა ყრილობა-ზე, ნ. ნ. ჟორდანიამ თავის მოხსენე-ბაში თითქმის ასეთივე აზრი გაატარა. მან სთქვა: „ჩვენ ვეცდებით პოლიტი-კურ და სოციალურ რეფორმათა საშუა-ლებით თანდათან მიუახლოვდეთ საბო-ლოო მიზანს—სოციალიზმის განხორ-ციელებას. ჩვენ ვეცდებით მზათ ვიყოთ იმ დროსთვის, როდესაც ევროპაში იფეთქებს სოციალური რევოლიუცია, რომ უბრძოლველად და სისხლ-დაუღ-ვრელად აქ მოვაწყოთ სოციალური რე-ვოლიუცია".

„სოც. დემოკრატის" ფურცლებზე ეს მოხსენება გააკრიტიკა ბ-ნმა ა. ზურაბოვ-მა. მას განსაკუთრებით არ მოეწონა ნ. ნ. ჟორდანიას მიერ გამოთქმული ნაჩვენე-ბი შეხედულობა, მონათლა ის ანტი-მარქსისტათ, ბერნშტეინელათ. ჩვენ მკითხველისთვის მიგვინდვია გამოსარ-კვევათ, ვინ დარჩენილა ნამდვილ მარქ-სისტულ, სოციალ დემოკრატიულ ნია-დაგზე, ნ. ჟორდანია და ნ. როჟკოვი, რომლებმაც მოცემულ საკითხში სრუ-ლიად დამოუკიდებლათ ერთი მეორეს-გან, გამოთქვეს ერთი და იგივე აზრი, თუ გაბოლშევიკებული ბატონი ზურა-ბოვი?

დასასრულ, ერთი რჩევა „შვიდ მნა-თობის" რედაქციას: რაც შეიძლება მე-ტი ორიგინალური, ქართველი მწერლე-ბის ნაწარმოებთა მოთავსება ჟურნალში და რაც შეიძლება ნაკლები თარგმანები. ამ მხრით მეორე ნომრის მასალა ერთი-ათ არაპროპორციონალურათ არის გან-ლებული. თა-და-სხვა

ალ. ჟორჟოლიანი

შორის ნიჭიერები ბევრი აღმოჩნდენ და საერთოთ მუსიკალურ სწავლა ცოდნის, განათლების მსურველნი მრავალნი არიან, ასე რომ უადგილობის და სამუსიკო მოწყობილობის უქონლობის გამო, ბევრიც ვერ მიიღეს.

ამგვარი კულტურულ დაწესებულების გახსნას ქუთაიელებიც ხელ-გულ გაშლილნი შეხვდენ და ჩვენც გულწრფელათ ვაიმედოვნებდით, რომ ასეთ მძაფრ პირობებში ასე იოლათ მოგვარებულ, საძირკველ ჩაყრილ საქმეს შემდეგში მხურვალე თანაგრძნობას და საქმიან დახმარებას გაუწევდენ და ამრიგათ ამოყვანილ საფუძველზე კედლებსაც შესაფერის მკვიდრს ამოიყვანდით საერთო დახმარებით და ძალ-ღონით. დღესასწაულზე სიტყვები მრავალი და ლამაზ-ლამაზი წარმოითქვა იქაც და აქაც. დაპირებანი უამრავი იყო და საქმეები კი რაც მოხდა, ამას ქვევით დავინახავთ.

როგორც ყოველი ქართველის, იმერთა ალტაცებაც წუთიერი გამოდგა და მას წლის თავამდე მიღწევაც არ დასცდია. ჩვენ პროვინციაში მოგვესმა, რომ იქ, დედა ქალაქში სამუსიკო საზოგადოების არსებობის საქმეში ჭრელ კატას გაურბენია და ამ ერთი წლის წინეთ თავმოყრილი ქართველი მუსიკოსები გაუთიშავს და ამ გათიშვას შედეგათ ქართველი საზოგადოების სამუსიკო საქმეებზე გულის გაგრილებაც თან მიყოლია. ამას, რაღა საკვირველია, მთავრობის გულგრილობაც აყვა, რაკი მის მიერ ნაკ[illegible]ხევ ერთობას მათში ფეხი ჯერ კიდევ ვერ მოუკიდნია.

ჩვენ, ქუთათურები თფილელთა ამ გათიშვას ვაბრალებთ, რომ მთავრობამ სხვა უხვ მფარველობასთან ერთათ ქართულ სამუსიკო საზოგადოებას 25,000 მ. სუბსიდია მისცა და აქედან მათ თავის ქუთაისის განყოფილებას ერთი გროშიც არ უწილადა, იცის რა მისი გაჭირვებული ნივთიერი მდგომარეობა. ამ ფაქტით ქუთაისის განყოფილება ძლიერ უკმაყოფილოა თავისი უფროსი ხელმძღვანელების და ახალ მათ გამგეობას დიდი კამათი ჰქონდა იმის შესახებ, თუ ვის როგორ მოსთხოვოს პასუხი განყოფილებისადმი ასეთ უყურადღებობისათვის და ვინ როგორ მოიხმარა ქუთაისის სასწავლებლისათვის საზრდო ფული მთავრობის სუბსიდიიდან.

თფილელთა უყურადღებობას პროვინციისადმი, დღეს ქუთაისშიაც თავი იჩინა. იგი სამუსიკო სასწავლებლის მდგომარეობას ნივთიერათ საგრძნობლად დაჩაგრობია. შორიდან შეპირებული მოწყალების ხელი მისთვის არვის გამოუწვდია და ახლოსაც რეალურ დახმარებით ბევრს არვის შეუწუხებია თავი. ახალი გამგეობა რომ ძველების ნაწარმოებ საქმეებს გაეცნო, აღმოჩნდა მათ მიერ წესიერად ნაწარმოებ ოქმებიდან, რომ მათ ბევრნაირი დადგენილებანი მოუხდენიათ სასწავლებლისათვის ნივთიერ დახმარების აღმოსაჩენად. მაგრამ ამ დადგენილებებს პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია, უმეტესი მათგანი ადრესატებისათვის არც კი გაუგზავნიათ, თუმცა საზ არზე მზრუნველობა, როგორც ოქმებიდან სჩანს, მათი უპირველესი საგანი ყოფილა.

ამ ცხრა თვის განმავლობაში მათ 11 კრება მოუხდენიათ, უმეტესათ სასწავლებლისათვის წყაროების აღმოჩენაზე უმსჯელიათ და მაინც კიდევ იგი 45 ათასი მან. ვალით ახლებს უმადურად გადულოცეს. ოქმებში დადგენილია: მიემართოს წერილობით და გაზეთების საშუალებითაც ჩვენ საზოგადო ქველმოქმედთ, მაგ. ჯაყელს, აკაკი ხოშტარიას და სხ., თფილისის და ქუთაისის ეტნოგრაფიულ და წ. კ. საზოგადოებებს, აღმოუჩინონ მათ ყოველწლიური დახმარება სასწავლებელს თანახმად მათი წესდებისა. ასეთივე დადგენილებაა თფილისის ამიერ კავკასიის და სამეურნეო ბანკების შესახებ, მაგრამ ქაღალდები არავისთან აღმოჩნდა გაგზავნილი. მოწოდება ფაქტიურად არვის მისვლია და რავასაკვირია, რომ შორეულთაგან არც დახმარება მისვლია ქუთაისის სასწავლებელს. გასაჭირის დროს გამგეობა და უფრო კი მისი აქტიურად მომქმედ თავმჯდომარე კ. გაბაშვილს ადგილობრივად უხერხებია დახმარების აღმოჩენა თუ უმეტესად თავის ჯიბიდან, თუ ბანკებიდან, კლუბიდან და სხვ. და ამნაირად დღეს ხსენებული სასწავლებელი ამ დაწესებულებების და კერძო პირების მოვალე გამხდარა.

მხოლოდ გარეშეთ, თფილისში ამ საქმეზე უზრუნია ისევ დამაარსებელს, რომელიც სასწავლებლის სმეტით ხელში წასულა თფილისს, უნახულებია განათლების ყოფილი მინისტრი გ. ლასხიშვილი და ახლანდელი ამხანაგი ნოე ცინცაძე, რომლებიც დაპირებიან ყოველგვარ დახმარებას, შეპირებული ვაგონებიც კი ვერ გამოუგზავნეს სასწავლებლის ხელმძღვანელს, რათა [illegible] იმოგზაურონ პროვინციებში კონცერ[illegible]ების გასამართათ. ასე უშედეგოთ [illegible] სასწავლებლის [illegible] ხელ[illegible]

მძღვანელის შუამდგომლობას და კიდევ საკვირველია, რომ სასწავლებელი დღემდი სამჯერ მეტათ დავალიანებული არ გადმოაბარეს ახალ გამგეობ ს. დღეს კი მის (სასწავლებლის) ცარიელ კასას ამშვენებს სია მევალეებისა 44854 მ. 40 კ., რომლიდანაც ორი წლი 30000 მ. ყველა, 11 მასწავლებლის და დარაჯების არის. მათში ზოგს 2 თვის, ზოგს სამის და ზოგსაც ოთხი თვის ჯამაგირები არ მიუღიათ. 5000 მან. თვით თავმჯდომარის დასდებია სასწავლებელს, ხოლო დანარჩენი ბანკის და კერძო პირების და სახლის პატრონის 5000 მ. დღემდე სულ მიუცემელია.

ჩავარდა თუ არა ნივთიერათ ასეთ უმწეო მდგომარეობაში, სასწავლებლის ხელმძღვანელმა მ. ბალანჩივაძემ, რომ ვილარ აჟვიდა მის იდეიურ პედაგოგიურ ხელმძღვანელობასთან ერთათ მის მეურნეობაზეც ზრუნვას, გადასწყვიტა სამოსწავლო მეორე წლის დასაწყისში საზოგადო კრების მოწვევა და სასწავლებლის მდგომარეობის გაცნობა. ენკენისთვეში კრება სამჯერ დაინიშნა და არც ერთჯერ კანონიერი რიცხვი არ დაესწრო. ხოლო მეოთხეჯერ მუშათა პროფესიონალურ საბჭოსთან შეთანხმებით მათ კლუბ „ინტერნაციონალში“ დაინიშნა კრება 25 ენკენისთვეს, რომელსაც ბლომათ დაესწრო მუშათა კლასის წარმომადგენელნი და ვლ. ემუხვარის თავმჯდომარეობით შეუდგენ სასწავლებლის მდგომარეობის გაცნობას.

უპირველეს ყოვლისა ამ კრებაზე აღმოჩნდა, რომ იქ არ იყო არც ერთი მომხსენებელი წევრი გამგეობისა და საქმის ვით რების მოკლეთ გაცნობა დაავალეს სარევიზიო კომისიის წევრს კ. კაპანაძეს, რომლის მოკლე ანგარიშიდან კრების ახალმა შემადგენლობამ გაიგო, რომ სასწავლებელს შემოსავალი ჰქონია 51,367 მან. 41 კ., ხოლო გასავალი ვალიანათ 96,221 მ. 81 კ. და კასაში კი 4 მ. 50 კაპეიკიაო, მორცხვათ დაამთავრა თვისი მოხსენება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბ. კაპანაძემ.

სასწავლებლის ამგვარ უმწეო მდგომარეობის დასურათებამ კრებაზე საქირდავათ მოსულებში დამცინავი ხითხითი გამოიწვია, რაც მეორე დღეს ერთათ ერთ დღიურ გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ № ბავშვურის სიხარულით აღინიშნა გამოუცდელ რეპორტიორ „ბ. გერცოგი“ ს ანგარიშში. ხოლო იდეიურათ ამ სასწავლებლის მდგომარეობის გასაცნობათ მისულ დემოკრატიაში ცხარე კამათი გამოიწვია.

მაგრამ მუშათა კლუბის შეგნებულმა წევრებმა ავტორს წამოყენებული საკითხის განვითარება როდიღა აცალეს და მყისვე სასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესება გამოსწორებაზე იწყეს სჯა კამათი. ამასობაში დადგა საკითხი სამუსიკო სასწავლებლის საქმების გაძახალისების, სამუსიკო საზოგადოების ახალი წესდების შედგენას და შემდეგ ახალი გამგეობის არჩევისა.

ამგვარ განახლებისათვის შემამზადებელ წინასწარ კომისიაზ შეადგინა ახალი საზოგადოების წესდებაც, რომელიც კრებაზე მუხლობრივ განიხილეს, შეასწორშემოასწორეს და დაამტკიცეს სახელწოდებით „წესდება ქუთაისის სამუსიკო საზოგადოებისა“, რომელიც, რაკი თფილისის სამუსიკო საზოგადოების ერთობა ასე უდღეურათ დაირღვა, დღეიდან ქუთაისის დამოუკიდებლათ იარსებებს და როცა ამათი გაერთიანების ნიადაგი მომზადდება, ქუთათურებიც მზათ იქნებიან შეერთებისათვის...

შემდეგ წარმოსდგა საკითხი ახალი გამგეობის არჩევისა და აირჩიეს შემდეგი პირნი: 1) ვლადიმერ ემუხვარი, 2) სერგო გერსამია, 3) იპოლიტე ნარსია, 4) სიმონ წერეთელი, 5) ლუბა ჩხენკელისა, 6) ტრიფონ ჯაფარიძე, 7) ალექსანდრე ნემსაძე, 8) ნინო ბახტაძე, 9) ისიდორე კვიცარიძე. ამათ კანდიდატებათ: ტრიფონ სუდავა, სილია წიქორიძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ: ივანე პურადაშვილი, კოწია კაჭახიძე და ილია გეგეჭკორი და მათ კანდიდატებათ: ალექსანდრე ვლადიმეროვი და ვარდენ ადამია.

ახალი გამგეობა მესამე დღესვე 28 ს შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას: აირჩია პრეზიდიუმი. გამგეობის თავმჯდომ ლუბა ჩხენკელია, მისი ამხანაგი სერგო გერსამია, მდივანი სიმონ წერეთელი და ხაზინადარი ის. კვიცარიძე. იმ დღეს აქეთ პრეზიდიუმი და გამგეობა თითქმის ყოველ მეორე-მესამე დღეს იკრიბება და აწესრიგებს საზოგადოების და მისი ორგანო სამუსიკო სასწავლებლის საქმეებს. ჯერ-ჯერობით მისი უმთავრესი ყურადღება მიპყრობილია ძველი ვალების გასტუმრებისაკენ და ამის სახსრის გამონახვის მაცადინეობაშია.

ამ მიზნით პრეზიდიუმმა ორნაირათ გაყო თავის ძალები და მიმართა იგი მოქმედებისაკენ: 1. მან აირჩია თავიანთ შორის ორი წევრი გამგეობისა: ვლ. ემუხვარი და სიმ. წერეთელი თფილისში სამოქმედოთ. მათ მისცა მანდატი, რომლის ძალითაც ისინი წარუდგებიან ჯერ კულტურულ დაწესებულებებს, მაგ. დღეს რომ კავკასიის კოოპერატორთა ყრილობაა, იქ დახმარების აღმოსაჩენათ, ხოლო შემდეგ ამათ უნდა იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, თუ საჭიროთ დაინახვენ დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის საშუალებით, ან თუ უფრო ადვილი იქნება პირდაპირ სათანადო სამინისტროებს მიმართვენ ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლისათვის მუდმივ წყაროს—სუბსიდიის დასანიშნავათ.

მათვე ეძლევათ შემთხვევა გზა და გზა თფილელ ქართველ ქველმოქმედებთანაც გამართონ მოლაპარაკება ამ ახალი კეთილი, ვალდებურული საქმისათვის ერთდროული დახმარება მიაწოდონ დასავლეთ საქართველოში სამუსიკო საქმის ასაღორძინებლათ. ამ საქმის გასავითარებლათ რომ აქ, ქუთაისში, უალრესი ნიადაგია,—ამას ახლად გახსნილ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვიც ცხად ყოფს და მაშასადამე აღმოსავლეთ საქართველოში მომქმედმა ძალებმა ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიაპყრან და ქართული პარლამენტის ხელოვნების კომისიამაც ამას ხაზი უნდა გაუსვას და პრაქტიკულათ მის მოლონიერებაზე იზრუნოს...

გამგეობამ თავის პირველსავე სხდომაზე იმსჯელა რა სასწავლებლის ნივთიერ მდგომარეობაზე, დაადგინა: 1. მართოს კონცერტები დასავლეთ საქართველოს ყველა ქალაქებში და ვინაიდან დღეს მოგზაურობა ძალიან ძვირი ჯდება, აღძრას შუამდგომლობა გზათა მინისტრის წინაშე, რათა მან დაუთმოს გამგეობას ვაგონი უფასოთ. ამის მოგვარებაც მინდობილი აქვს ბ. ვ. ემუხვარს. 2. მართოს ფასიანი კონცერტები თვით სასწავლებელში და როცა საჭიროება მოითხოვს, ქალაქის თეატრსა და კლუბში. 3. ეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას ნუ გადაახდევინებს სასწავლებლის კონცერტებს საქალაქო გადასახადებს და შემდეგ შემოიღოს წესათ, როგორც ეს სხვა დიდრონ ქალაქებშია, ყოველივე სპექტაკლების შემოსავლიდან 5—10 პროც. გადიდოს სამუსიკო სასწავლებლის სასარგებლოთ. 4. აირჩიეს გამგეობის და საზოგადოების პატივცემულ პირთაგან ფულის შემკრები კომისია, რომელიც შეკრებს ამ მოკლე ხანში ერთდროულ დახმარებას სასწავლებლისათვის. ასეთი კომისიები უკვე არჩეულია და ამ დღეებში მთელ ქუთაისში დაიწყებენ სიარულს. 5. დაადგინა იკრიბებოდეს ფული შემოწირულების სახით წიგნაკებით და აგრეთვე საწევრო (ათი მანათია) გადასახადიც სისტემატიურათ გროვდებოდეს.

ის. კვიცარიძე.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 8 ნოემბერს მოხდა არსენალის ქვეკოლექტივის დადგენილებით საზოგადო ს. ს. დ. მ. პარტიული კრება, რასაც დაესწრო სამასამდე წევრი. ამ კრებაზე იყვნენ საგანგებოთ მოწვეულნი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ამხ. ალ. ლომთათიძე და ვ. ჯუღელი. გააკეთეს მოხსენება ვალიკომ ქართულათ და ალექსანდრემ რუსულათ. მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა და გამოიტანა ასეთი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება ვ. ჯუღელის და ალექსანდრე ლომთათიძისა საერთო პოლიტიკური მდგომარეობის და ავანტიურისტთა მოქმედებებისა, შესახებ, პარტიული კრება არსენალის და საარტილერიო საწყობის მუშა-მოსამსახურეებისა სავსებით იზიარებს მომხსენებლების აზრს და ერთსულოვნათ ადგენს: გვესმის რა დამღუპველი პოლიტიკა ეგრეთ წოდებული ბოლშევიკებისა, ჩვენ, როგორც წარსულში, ისე მომავალში, მზათ ვართ დავიცვათ საქართველოს რესპუბლიკა ყველანაირ ანარქიიდან, იქნება ეს მარცხნიდან თუ მარჯვნიდან. ხელი შეუწყოთ იმ სწორი ხაზის ცხოვრებაში გატარებას, რომელიც დასახული აქვს მიზნათ ს. ს. დ. მ. პარტიას და მისგან წარმოშობილ დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, და ვინც მოიწადინებს ჩვენი ქვეყნის ანარქიაში გახვევას, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ ისჯებოდეს სასტიკათ“. კრება კმაყოფილი დაიშალა და სთხოვა მომხსენებლებს, რომ მასიურ კრებაზე გაეკეთებინათ ასეთი მოხსენება, რასაც სიამოვნებით დაგვპირდენ.

ლ. ანთიძე.

## პროვინცია

არბო (გორის მაზრა). 27 ოქტომბერს სოფელ არბოში მოხდა საზოგადოების კრება. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ ევტთიმე მაისურაძე, მდივნათ თამარა ქურულისა. კრებაზე იყო სამი საკითხი: სკოლისა, კოოპერატივისა და სოფლის გამაგრება, რომ საქონელმა ვენახები და ხილის ბაღები არ გააფუჭოს. პირველად იქმნა გარჩეული სკოლის საკითხი. ცხინვალის სათემო ერობის სადგილმამულო განყოფილების გამგემ შაქრო გოგიჩაიშვილმა გააკეთა მოხსენება: გააცნო სოფელს წარსული და დღევანდელი სკოლის მდგომარეობა და ბინის უქონლობა. ამის შემდეგ არბოს ეკლესიის დეკანოზმა გიორ. გვიმრაძემ განაცხადა, რომ ის უთმობს სოფელს სკოლად თავის სახლს. 29 ოქტომბერს დეკანოზმა და მისმა მეუღლემ ნოტარიუსის წესით დაუმტკიცა არბოს სკოლას ქვითკირის შენობა, რომელიც შესდგება ორი დიდი ოთახისაგან და ერთი შუშაბანდიან დერეფნით, ქვითკირის ბოსელი, მარანი თავის ქვევრებით და დღე ნახევრის კარგი ვენახი. მინამ ცოცხლები იქნებიან თითონ უნდა ისარგებლონ ამ მამულით და სიკვდილის შემდეგ ამ ანდერძის ძალით გადადის სკოლის სასარგებლოთ, შენობასაც ეხლავე უთმობს, თუ ზევით სართულს დაადგამენ მალე. დიდათ პატივსაცემია ეს მოძღვარი და მისი მეუღლე ამ ფრიად იშვიათ მაგალითისთვის. საზოგადოებამ მათ დიდი მადლობა გადაუხადა.

ამის შემდეგ შეეხო კრება კოოპერატივს. მოისმინა კოოპერატივის მდგომარეობა წარსული წლისა და ეხლანდელი. კოოპერატივს წარსულ წელს დააკლდა ათას ორასი თუმანი (12000 მ.). ამის გამო დიდი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა ამოირჩიონ კომისია სამი კაცისაგან: ილია ქურული, მასწავლებელი დიმიტრი კიკნაძე და შაქრო ლომაური, რომლებსაც დაევალათ მოსთხოვონ გამგეობას ყველა ანგარიშები და გამოიკვლიონ, ვინ გაფლანგა ფული. შემდეგ კრებამ ამოირჩია მცველები.

შ. გოგიჩაიშვილი.

## თეატრი და მუსიკა

6 ნოემბერს ქართულ კლუბში გაიმართა ქართ. პროფ. მომღერალთა კავშირის კონცერტი. მონაწილეობას იღებდენ ახალგაზდა მოსწავლე მომღერლები და კაპელა ქართ. სამუსიკო ს—ბისა და საქ. ცენტრ. კოოპ. კავშირისა.

თვით მიზანი ამ კონცერტებისა მეტად სამნიშვნელოა და სიმპატიური. სწორედ ამნაირ გზით შეგვიძლიან მივაღწიოთ ქართულ მუსიკის აღორძინებას და შევიძინოთ სამნიშვნელო აღმასრულებელი ძალა.

ესტრადა არტისტისათვის არის საუკეთესო შკოლა და მით უმეტეს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ნ. ფავლენიშვილისას ხმა კარგი აქვს, მაგრამ სამწუხაროთ ის უფრო ეფექტს აქცევს ყურადღებას, ვიდრე თვით მუსიკის შინაარსს. არ აძლევს მნიშვნელობას ხმის ეკონომიას, მის სიმღერას უფრო დილეტანტური ხასიათი აქვს, ვიდრე სერიოზული: გადამეტებული ფერმატო, ურითმობა, ხმის უცბად მოჯახება—ამას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს მომღერალმა, მით უმეტეს, რომ მის ხმას ტკბილი ტემბრი და მგრძნობიერი გამომეტყველობა აქვს.

ა. პუმპურიძე სრულებით არ უკვირდება მელოდიის და სიტყვების შინაარსს. ასრულებს ნაზათ, დაგვიანებით, დაუდევრობით და ერთფეროვნად.

ვანიძეს კარგი ხმა აქვს. რაც შეეხება კაპელას, ეს სამნიშვნელო განძია. მხოლოდ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს სცენაზე კაპელას ღიმილი, უწესოება. თვით ლოტბარი დ. არაყიშვილი არღვევს ამ დისციპლინას.

ვურჩევთ მომღერალთა კავშირს მეტი ყურადღება მიაქციოს მუსიკის ასრულებას და სცენის ეტიკა სიფაქიზეს.

ეხტეტი.

## წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

გაზეთ „საქართველოს“ 243 ნომერში ბ. პ. მელია თავის წერილში, სადაც სასურსათო საბჭოს ეკამათება, ამბობს, თითქოს თებერვალში შტაბის წევრს ი. ქარცივაძეს გაეყიდოს ცხვრები, რომელი ოპერაციითაც მან თითქოს ხაზინას მიაყენა 300,000 მ. ზარალი. ვაცხადებთ, რომ ხსენებული ცხვრები გაყიდა, თანახმად შტაბის დადგენილებისა, შტაბის წევრმა ამხ. გოგიშვილმა და არა ამხ. ქარცივაძემ.

დაწვრილებითი წერილი ამ საქმეზე იქნება მოთავსებული.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.

## ცნობები

უცხოეთიდან დაბრუნებულ ტყვეების საყურადღებოდ, ჯარისკაცი ამბერკი ეფრემის ძე ტყემალაძე მსახურებდა მომქმედ ჯარში მეცხრე კავკასიის მსროლელ პოლკში მეათე როტაში და არავითარი ცნობა არ არის 1915 წ. აპრილის რიცხვიდან. და თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, კეთილ ინებონ და გვაცნობონ შემდეგი მისამართით: შორაპნის მაზრა, სად. ძირულა ივანე ტყემალაძეს. პატივისცემით ივანე ტყემალაძე.


## განცხადებანი

### იყიდება

ქუთაისში ორპირის ქუჩაზე ძმები ლომთაძეების სახლები, მორთული საცხოვრებლად და სავაჭროთაც სხვადასხვა შენობებით ათას ოთხ კუთხ საჟენამდე ეზოთი, მოშენებული სხვადასხვა ხეხილ ვენახებით; ქუჩის მხარეს მოხერხდება 12 მაღაზიის აგება. ფასის გაგება შეიძლება თფილისში, მუხრანის ქუჩაზე, № 4, გიორგი ლომაძესთან. (2978—1—1)

სააფთიაქო საქონელს

ბითუმ ფასებში აწვდის მსურველთ საფთიაქო საქონლის საწყობი

### ი. გ. ლიბერზონისა

გარნოვის ქ. № 7. (ეზოში)

საწყობი ღიაა დილის 9—3 საათ. და სად. 5—7 საათ. (2975—3—1)

სახელმწიფო მამული „სკრა“

ნამყენი ხეხილი მაღალი და თესლეულობა

### მოითხოვეთ კატალოგი

სად. სკრა—გორის მაზრა. (2906—10—5)

### სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ვ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.

ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.

ი. ტერ-ოვაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.

ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო.

ა. ტერ-გრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.

ტ. განეუმოვი 11—12. ქალთა საბებ. „606“ და „914“ ყოველ დღე.

რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი ვ. ვ. ხანაძე. ((2937—თ.)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“. (2930—თ.)

ექიმი დ. ზ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი კ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ქალ. ხამტრედიაში

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი [illegible]

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამო 4—8 საათამდე [illegible] (2795—თ.)

[illegible] უნივერსიტეტისა მ. ზ. მიქაბაძე

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიათი და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სანათიდი და არსენალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—32.

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებიანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2 სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი არუთინოვი.

დაიწყო ავათმყოფების მიღება. დილ. 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. ვენერიული სნეულებათა: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები „606“ და „914“ შეშხაპუნება. მიხ. პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 281[illegible]

ექიმი იგ. ბოკერია

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულებ. და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—9[illegible] (თ. 274[illegible]

ექიმი ა. ლევინშტეინი

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, და პეპების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № [illegible] გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ოზურგეთში.

ექიმი ს. გ. აბაშიძე

მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სნეულებების, ფილტვების, გულის, კუჭის და [illegible]ბის. პლექის ექიმობა „ტუბერკულინი“ და „ფოსფაციდიდ“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914“ [illegible] „606“ შეშხაპუნებით. კ. სიამაშვილის სახლში.

ექიმი მ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით [illegible] დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—[illegible] საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № [illegible] ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი რ. ზ. [illegible]

მედიცინის დოქტორი ქენევის უნივერსიტეტისა და ელინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სხივით დარიგებით ხელოვნებით წამლობა (606—914) დილ 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—[illegible]

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

### მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხუთით ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბ[illegible] ბიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—3)

### „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“

რომელიც იღებს ყოველ გვარ საკერავს და ასწავლის ჭრა-კერვას, ქარგვას, [illegible] სამეულების შეკერვას და სხვადასხვა ხელსაქმეებს ხელმისაწდომ ფასებში, [illegible]ძლებს მოწაფეების მიღებას. მისამართი: ვერის დაღმართი № 3, ბინა 9, ეზო[illegible] (2783—8—5)

### ყველა პარტიულ ორგანიზაციებს!

საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა და აძლევს ფა[illegible] პარტიულ ორგანიზაციებს შემდეგ საჭირო საგნებს: პარტიულ წიგნაკებს,— საქართველოს პირველ დამფუძნებელი პარტიულ ყრილობის გამომუშავებულ [illegible]დებას. სარეგისტრაციო წიგნებს, უწყებებს პარტიულ მუშაობის მდგომარეო[illegible] და თანხის ტრიალისას, ოქმებს, საწევრო მარკებს, შემოსავალ და გასავლის [illegible]დერებს, ერთდროულ გადასახადების წიგნაკებს, კვიტანციებს და სხვა. მისამართი: თფილისი, რუსთაველის პრ. № 24. კომიტეტის მდივანთან. (უფ. 7—2[illegible]

### თფილისის სამხედრო წისქვილი

იღებს სხვადასხვა დაწესებულებათა და კერძო პირთაგან დასაფქვავ [illegible]ბლეულობას. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება წისქვილის კანცე[illegible]რიაში. ავლაბარი, პეტრე-პავლეს ქუჩა, № 18, სამხედრო მთავარ სასურსა[illegible] საწყობის ეზოში. (2950—3—[illegible]